სარგიელი

სპორტული გაზეთი სამშაბათი 22 იანვარი 2008 №012 (3236) ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველო ნაკლებით იწყებს მსოფლიოს თასით გაღაღებულები პორტუგალიასთან მაქსიმუმს ვითხოვთ

ბაჩო ჯოთლაძის ფოტო

მსოფლიოს თასმოვლილი საქართველოს ნაკრები ახალ სარაგბო სეზონს 2 თებერვალს პორტუგალიასთან მატჩით დაიწყებს. ერთხელაც ვთქვათ, რომ ჩვენს „ლელოებს“ პორტუგალიელი „მგლებისთვის“ შარშან გაზაფხულზე უნდა ემასპინძლათ, მაგრამ ჯერ პორტუგალიელების, მერე კი ჩვენების თხოვნით ეს საერთათასო მატჩი ორჯერ გადაიდო და ახლაღა გაიმართება.

2 თებერვალსვე ეჭნება ავსტრალიელი ტიმ ლეინს სამწვრთნელო დებიუტი საქართველოს ნაკრებში.

ტიმ ლეინი ერთ კვირაში ჩამოვა თბილისში და კონტრაქტსაც გააფორმებს. ხელფასი, ადრეც გვეწერა, თვეში 10 ათასი ევრო ეჭნება.

ლეინის ჩამოსვლამდე ცნობილი გახდა გაფართოებული 25-კაციანი შემადგენლობა, რომლიდანაც შეირჩევა სამატჩო 22-კაცა რაზმი. საპორტუგალიო შემადგენლობაში ბევრი ახალი სახეა, რადგან მსოფლიოს თასის მერე ნაკრებში თაობათა ცვლა დაიწყო, თანაც ტავმების და ფრანგული კლუბების თავნებობის გამო ჩვენებს დააკლდებიან დავით ზირაქაშვილი, მამუკა გორგოძე, გია ლაბაძე, მალხაზ ურჯუკაშვილი და ბესიკ უდესიანი.

2 თებერვლის მატჩი, რაგბის საერთაშორისო საბჭოს სანაკრებო კალენდარში კი ზის, მაგრამ ფრანგული კლუბები ჩვეულად გაჯიუტდნენ და ლეგიონერები არ გაათავისუფლეს.

საპორტუგალიო გაფართოებული შემადგენლობა კი ასეთია: დავით დადუნაშვილი, გოდერძი შველიძე, დავით ქუბრიაშვილი, ანტონ ფეიქრიშვილი, ირაკლი ნატრიაშვილი, ლევან დათუნაშვილი, გიორგი ნემსაძე, შალვა სუთიაშვილი, გიორგი ჩხაიძე, რატი ურუშაძე, დავით ბასილაია, ირაკლი აბუსერიძე, ბიძინა სამხარაძე, მერაბ კვირიკაშვილი, დავით კაჭარავა, რევაზ გიგაური, ოთარ ბარკალაია, ბესიკ ხამაშურიძე, გიორგი შკინინი, ლაშა მალაღურაძე, ლაშა ხმალაძე, გიორგი ელიზბარაშვილი, სანდრო ნიჟარაძე, ირაკლი გეგენავა, ირაკლი ჩხიკვაძე.

ერთიც, საქართველო-პორტუგალიას იტალიელები განსჯიან. მთავარი მსაჯი ლუიჯი დე სანტისია, გვერდითები კი პასკუალე ბონაჩი და ჯანი ორლანდინი.

ბაჩო სვანიძე

ესეც პირველი ჰეთ თრიქი: მაროკოელმა სუფიანე ალუდმ ნამიბია გაამწარა

ვიხსენებთ და ვერ ვიხსენებთ

კალათში ჩაგდება არასდროს ყოფილა ასეთი ძნელი

ფოტო ალექსანდრ ბეზელიანის ფოტო

თამაშის დაწყებიდან 12 წუთში 6:44-ს აგებდა, ხოლო ტაიმი 13:50 დათმო. ასეთი რამ, ყოველ შემთხვევაში ქართულ ჯალათბურთში, აქამდე არ მომხდარა – ვერავინ გაიხსენა ისეთი შემთხვევა, როცა 20 წუთში გუნდს 13 ქულაზე მეტი ვერ ჩაეგდოს.

მეორე ტაიმშიც არანაკლები უილაჯობა გამოიჩინეს ვითელებმა და საბოლოოდ 42:92 დამარცხდნენ.

აი, ასე დაიწყო საქართველოს თასის გათამაშება ჯალათბურთში...

აფრიკაში უჩვეულო არაფერი ხდება

ვინც უნდა მოიგოს, იგებს

ყველაზე მეტ ხალხს ოლიმპი აბროვებს

პოპოვიჩი შინ დაბრუნდა

რუსთავის „ოლიმპი" „თანამეგობრობის თასზე" ჯერჯერობით წარმატებით თამაშობს — ორი მატჩიდან ორივე მოიგო და ჯგუფიდან გასვლა ნაადრევად გაინაღდა. ლატვიურ „ვენტსპილსთან" დღევანდელ მატჩში რუსთაველებს ფრეც ჰყოფნით ჯგუფში გასაპირველებლად. რა როგორაა რუსეთში, როგორი გამოხმაურება აქვს „ოლიმპის" თამაშს და საერთოდ, რა შთაბეჭდილებას ტოვებს საქართველოს ჩემპიონი — ამ და სხვა კითხვებზე საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მსაჯთა და დამკვირვებელთა განყოფილების უფროსმა ამირან კაჭახიძემ გვიპასუხა, ვისაც გუშინ სანკტ პეტერბურგში შეეხმიანეთ...

ამირან კაჭახიძე „ოლიმპის" ფოტო

— „ოლიმპმა" ტურნირი კარგად დაიწყო, ორივე თამაში მოიგო და ჯგუფში პირველ ადგილზეა. შედეგიდანაც ჩანს, რომ ჩვენების თამაშზე ცუდი არ ითქმის, თუმცა ისიც ივრძნობა, რომ გუნდს მომატება კიდევ შეუძლია და ვნახოთ, რა იქნება. თუმცა ისიც სათქმელია, რომ აქ ჩამოსულთაგან მხოლოდ „ფახთაქორს" და „შერიფს" ჰყავთ უძლიერესი შემადგენლობები, დანარჩენები კი მეორე გუნდებით არიან.

— როგორც ჩანს, ქომაგებისგან დიდი დაინტერესება არ არის...

— ყველაზე მეტი ხალხი „ოლიმპის" თამაშებზე დადის. ივრძნობა, რმო აქაურებს ქართული ფეხბურთი მოენატრათ. ყოველ ტექნიკურ ილეთს დიდი ოვაციები ახლავს. სხვათა შორის, ქართველებიც მრავლად დადიან რუსთაველთა საქომაგოდ.

— ყველაზე მეტად ვინ გამოირჩევა „ოლიმპიდან"?

— რევაზ გეწაძე საუკეთესოა. კარგად თამაშობენ მიხეილ მახვილაძე და სერგო ორბელაძეც. აი, ვლადიმერ ჯოჯუა კი ცალკე თემაა — ძალიან მონდომებულია და ჩანს, ახალ გუნდშიც კარგად ჩაეწერა.

— უკრაინელ ლეგიონერებზე რას იტყვით?

— მართალია, ომელიანოვმა და კოვალეცკიმ ორ-ორი გოლი გაიტანეს, მაგრამ ვერ ვიტყვი, რომ ჩვენების თამაში მათ მიჰყავთ. ისინი ახალგაზრდები არიან და ჯერ გამოცდილება აკლიათ. კიდევ ერთმა ლეგიონერმა, ალექსანდრ პოპოვიჩმა კი აქაურობა უკვე დატოვა.

— რატომ?

— როგორც გავიგე, პირველივე თამაშში კუნთი დაეჭიმა და შინ დაბრუნდა.

— „თანამეგობრობის თასზე" ლაშა სილაგავა მსაჯობს. როგორ შეაფასებთ მის გარჯას „ფახთაქორ" — „კუნასის" მატჩში?

— კარგად იმსაჯა. აქაურებისგანაც კარგი შეფასება მიიღო და ხვალაც დანიშნავენ, თუმცა ჯერ არ ვიცი, რომელ მატჩზე.

— ორგანიზებაზე რას იტყვით?

— კარგს ვერაფერს. უკეთესიც შეიძლებოდა, თუმცა რაც არის, ეს არის. სხვათა შორის, ორგანიზატორებმა ტურნირს საპრიზო ფონდი გაუუქმეს და რომ ვიკითხე მიზეზი, ვერაფერი მითხრეს. თუ ასე გაგრძელდა, გაისად ამ ტურნირში სათამაშოდ არავინ ჩამოვა. გუნდები უკმაყოფილონი არიან და ამას არც მალავენ. ახლა რუსები ფიფას პრეზიდენტ იოზეფ ბლატერს და უეფას პრეზიდენტ მიშელ პლატინის ჩამოსვლას ელიან. მთელი ყურადღება ამაზეა გადატანილი.

— ქართველებს როგორ დაგხვდნენ მაქაურები?

— განსაკუთრებული არაფერი ყოფილა. ჩვეულებრივი დახვედრა იყო. არც ზიზღი გამოუხატავს ვინმეს და არც ზედ გადაგვყოლიან.

— და ერთიც: სადამდე მისვლა შეუძლია „ოლიმპს" ამ ტურნირში?

— ძნელი სათქმელია. ჯერჯერობით ყველაფერი ნორმალურად მიდის და ვნახოთ... ბევრი თანაბარი დონის გუნდია და წინასწარ რაიმეს თქმა მიჭირს, თუმცა, ჩვენებს, ცხადია, წარმატებებს ვუსურვებ.

ძახა ფალამბერიძე

ფიფას პრეზიდენტ ზეპ ბლატერთან და უეფას პრეზიდენტ მიშელ პლატინისთან შეხვედრა სანკტ პეტერბურგში, მერე კი კონგრესი ზაგრებში — ასეთია საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის გენერალური მდივნის უჩა უგულავას უახლესი სამუშაო გეგმა. უჩა უგულავას გუშინ დავუკავშირდით და სამომავლო ამბებზე ორიოდ სიტყვა ვთხოვეთ...

უჩა უგულავა „ოლიმპის" ფოტო

ჯერ რუსეთი, მერე ხორვატია

ტოპმიოლერი კონტრაქტს ლატვიამდე გააფორმებს

— მე და ნოდარ ახალკაცი სანკტ პეტერბურგში 25 იანვარს მივემგზავრებით და ზეპ ბლატერსა და მიშელ პლატინს შევხვდებით. უკვე ტრადიციაა, რომ ფიფასა და უეფას პრეზიდენტები თანამეგობრობის ჩემპიონთა ტურნირს ესწრებიან და თან იქ მონაწილე ყველა ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციათა ხელმძღვანელებს ხვდებიან ხოლმე. აქამდე პრეზიდენტებს ვიზიტი ტურნირის გახსნისას ჰქონდათ, ახლა კი მათთან შეხვედრა ბოლოსკენ დაიგეგმა. ბლატერი და პლატინი თანამეგობრობის, ბალტიისპირეთისა და სერბეთის წარმომადგენლებს ტურნირის ბოლოსკენ მიგვიღებენ.

— რა საკითხებზე ილაპარაკებთ?

— როგორც ყოველთვის, ამჯერადაც გასული წლის შემაჯამებელი შეხვედრა იქნება. ვისაუბრებთ მომავლის პრიორიტეტულ მიმართულებებზეც. ცოტა ხანში ფიფას დახმარების პროგრამა „გოლი 3" დაიწყება და ამასთან დაკავშირებით იოზეფ ბლატერს ჩვენს მოსაზრებებსაც გავაცნობთ.

— საქართველოს ფეხბურთის ფედერაციისთვის პრიორიტეტული მიმართულება რა არის, რას მოახმართ „გოლი-3"-ით გათვალისწინებულ დახმარებას?

— „გოლი-3"-ით 500 ათასი ლარია გათვალისწინებული. ჩვენ კი ახლა კონსულტაციებს გავდივართ და ფიფას პრეზიდენტს ზუსტად ვეტყვით, ეს დახმარება რაში გვჭირდება.

— ზაგრებში როდის მიემგზავრებით?

— სანკტ პეტერბურგიდან ზაგრებში მივდივართ და თბილისში 2 თებერვალს დავბრუნდებით.

— ნაკრების მწვრთნელთან კონტრაქტს როდის გააფორმებთ?

— კლაუს ტოპმიოლერი თბილისში უფრო ადრე ჩამოვა და ლატვიასთან 6 თებერვლის ამხანაგური მატჩისთვის მოამზადებს. ტოპმიოლერთან ახალ კონტრაქტსაც თებერვლის დასაწყისში გავაფორმებთ.

ძოგა ინასარიძე

საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია და პროფესიული ფეხბურთის ლიგა თანაგრძნობას უცხადებენ ვეტერან ფეხბურთელ გიორგი სიჭინავას შვილის

გოგას

ტრაგიკულად დაღუპვის გამო

გოგა სიჭინავას მეგობრები თანაუგრძნობენ ვეტერან ფეხბურთელ გიორგი სიჭინავას

ვაჟის

ტრაგიკულად დაღუპვის გამო

ინგლისი

პრემიერლიგა

ლივერპული 2:2 ასტონ ვილა

II ლიგა

ჩესტერფილდი 4:0 პერეფორდი

AF TROPHY

ალფრეტონი — ფარსლი გადაიდო

იტალია

სერია C/B

სალერგიტანა 1:1 კროტონე

საფრანგეთი

პირველი დივიზიონი

კლერმონი 2:1 ნანტი

აფრიკის თასი

მალი 1:0 გვინეი

გოლი და ფანტასტიკური თამაში — ასეთია ლევან ყენიას დებიუტი „შალკეს“ 19-წლამდელთა გუნდში. აქ მცირე შესწორებას შევიტანთ იმ მხრივ, რომ 17 წლის ქართველმა „ხუმარათა“ გუნდში ნაახალწლევს ერთკვირიან მინი-ტურნირში ითამაშა, გუშინწინ კი მისი დებიუტი დიდ მინდორზე შედგა...

პატარა შალკეს დიდი იმედი

ლევან ყენიამ გოლით და ფანტასტიკით დაიწყო

„შალკეს“ 19-წლამდელებმა ამხანაგურში 2:0 მოუგეს „ერკენსვიკის“ თანატოლებს.

ვიცით ის, რომ ამ თითქოსდა არაფრისმომცემ მატჩს გაცილებით მეტი გულშემატკივარი დაესწრო, ვიდრე პატარა შალკელების გასული წლის ოფიციალურ თამაშებს — მიზეზი კი ყენია იყო.

მოგებულთაგან პირველი გოლი კაპიტანმა ფილიპ სამბრანომ გაიტანა, მეორე კი ქართველმა 10 ნომერმა შეაგდო დარკო სტეფანოვიჩის პასით.

სავარაუდოდ, 10 თებერვალს 19-წლამდელთა ბუნდესლიგა განახლდება, სადაც „შალკე“ თავის ზონაში მეოთხე ადგილზეა. მანამდე პატარა „ხუმარები“ ამხანაგურ თამაშებს კიდევ გამართავენ, 6 თებერვალს კი ყენია საქართველო — ლატვიის ამხანაგურ მატჩში ითამაშეს.

ილია ნანოგაშვილი

ოთარ ხიზანეიშვილის ფრაიბურგი მორჩა

გადაწყვეტილი ამბავია: ოთარ ხიზანეიშვილი „ფრაიბურგის“ თვის ბოლომდე, ანუ სატრანსფერო ფანჯრის დახურვამდე დატოვებს.

შეიძლება ითქვას, ის უკვე წასულია გუნდიდან — მართალია, თურქულ შეკრებაზე ახლავს „ფრაის“, მაგრამ მწვრთნელმა რობინ დატმა უკვე ისე აითვალწუნა, რომ ბოლო ტესტ-მატჩებშიც კი არ უთამაშია.

გუშინ „ფრაიბურგი“ 0:0-ზე გაეყარა „კაიზერსლაუტერნს“.

კლუბის გულშემატკივართა ფორუმზე ხიზანეიშვილს ემხრობიან...

„საოცარია, თამაშობს ოლაიენგბესი და არ ათამაშებენ „ხიზას“. ასეთი ფეხბურთელის გუნდიდან წასვლა არ მინდა, მაგრამ სხვა გზა არ დაუტოვეს“ — წერს ერთ-ერთი ქომაგი.

და სად წავა ოთარი, ეს ჯერ უცნობია — ერთი თვის წინ თურქული გუნდის ვარიანტზე ლაპარაკობდნენ და ინგლისური „სანდერლენდიც“ ითქვა...

ილია ნანოგაშვილი

ღვინიანიძე და შეხვეული მუხლი

გერმანული „მიუნხენ 1860“ და მათე ღვინიანიძე ესპანურ ტენერიფეში ემზადებიან სამეორეწრეოდ, ოღონდ ქართველი ფეხბურთელი ამხანაგურ მატჩებში ჯერაც ვერ მონაწილეობს.

მათე ახალნაოპერაციებია და სრული დატვირთვით ვარჯიშის უფლებას მალე დართავენ — საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების კაპიტანი ჯერაც შეხვეული მუხლით ემზადება.

კახა შალამბერიძე



ვიზა და კვიპროსი

გიორგი ლომაია ფოტო

განუგრავა ბოლესლავს მეორედ შეუერთდება

გუშინ ვწერდით, ჩეხური ვებგვერდების ცნობით, გიორგი განუგრავა უკვე ოფიციალურად გახდა „ბოლესლავის“ ფეხბურთელი. სიტუაცია კი ცოტა ბუნდოვანია — გუშინწინ „ბოლესლავი“ კვიპროსის ლარნაკაში წავიდა შეკრებაზე, თუმცა გიორგი მათ ვერ გაჰყვა.

როგორც გაირკვა, განუგრავას საviზო პრობლემები შეექმნა და მოგვიანებით შეუურთდება გუნდს კვიპროსზე.

კონკრეტულად, კონტრაქტი გაფორმებულია თუ არა, ეს ჯერ არსად წერია. მხოლოდ ისაა ცნობილი, რომ ქართველმა ახალგაზრდამ ძალიან კარგი შთაბეჭდილება დატოვა ტესტ-მატჩებშიც და ვარჯიშებზეც.

ილია ნანოგაშვილი

გიორგი ლომაია: არსაიდან ხმა

თუ არა და, ვიტ ჯორჯია?

ლლეებმა კი არა, თვეებმა გაიარა, გიორგი ლომაია კი კვლავ უგუნდოდაა და „ვიტ ჯორჯიაში“ ვარჯიშით ცდილობს ფორმის შენარჩუნებას. გუშინ კი მისი „კარლ ცაისში“ გადასვლა საბოლოოდ გამოირიცხა, რაკიღა იენელებმა ბელარუს გოლკიპერ ვასილ ხომუტოვსკის კონტრაქტი გაუფორმეს.

„შემოთავაზებებს ველოდები, ჯერჯერობით კი სიახლე არაფერია. პირადად ჩემთვის არავის მოუმართავს. ისევ გაზეთებიდან თუ შევიტყობდი ხოლმე რამეს. მადლობა ღმერთს, თავისუფალი აგენტი ვარ და ეს ხელს შემიწყობს, მსურველი კლუბი თუ გამომიჩნდა. „ვიტ ჯორჯიას“ ხელმძღვანელობას კი ძალიან ვემადლიერები, რომ გუნდში მავარჯიშებენ“ — გვითხრა გიორგიმ.

28 წლის ლომაია საქართველოს ჩემპიონატში დაბრუნებასაც არ გამორიცხავს — რა თქმა უნდა, უცხოეთში მინდა, მაგრამ თუ არაფერი შანსი არ გამოჩნდა, აქ გავაგრძელებ თამაშსო.

ილია ნანოგაშვილი

ვიეტნამმოვლილი ქართველი დაჩიაში

მოლდოვურ „დაჩიაში“ კიდევ ერთი ქართველი ფეხბურთელი მივიდა — ლევან კორღალიძესა და დიმიტრი პარამონოვს ირაკლი კოხრეიძეც შეუერთდა — ეს ტრიო გასინჯვაზეა.

კოხრეიძე 27 წლისაა, ადრე უთამაშია თბილისის „დინამო 2“-ში, წყალტუბოს „სამგურალში“, „თბილისში“, უკრაინულ „როსში“, „ნეფტიანიკსა“ და, თქვენ წარმოიდგინეთ, ვიეტნამის ჩემპიონატის მეორელიგელ „სან ტჰოში“.

სამივე პოტენციურმა ახალწვეულმა და პლუს, ჯაბა დვალმა მოლდოვურ „ტილიგულთან“ 1:2 წაგებულ მატჩში თითო ტაიმი ითამაშეს.

მანამდე კი „დაჩიამ“ ასევე მოლდოვურ „პოლიტეხნიკასთან“ 2:0 იმარჯვა და დვალ-კორღალიძემ მეორე ტაიმში იბურთავეს.

ილია ნანოგაშვილი

ვიტალი დარჩიძე

ეროვნული ნიგნლიოთეკა

ანზორ ფიროსმანი

ბათუმი ასაკს იკლებს

დარჩიძე თურქეთში, მახარაძე ოლიმპში ან ზესტაფონში

„ბათუმი“ მეორე წრისთვის ისევ შინ ემზადება.

რამდენიმე დღის წინ მთავარმა მწვრთნელმა ავთანდილ კუნჭულიამ გვითხრა, გუნდიდან წასული ვიტალი დარჩიძეც დაგვიბრუნდებაო, თუმც გუშინ სხვა ამბავი დაგვახვედრა — ფეხბურთელი თურქეთის მეორე ლიგის კლუბში დარჩენილა და კარიერას ალბათ იქ გაგრძელებს.

„ბათუმში“ აღარ ვარჯიშობს კახა მახარაძეც, რომელიც, სავარაუდოდ, ან „ზესტაფონში“ გადავა, ანაც რუსთავის „ოლიმპში“.

ზღვისპირულმა გუნდმა სამი ახალგაზრდა ფეხბურთელი შეიმატა — მერაბ მუმლაძე, ირაკლი ფუტკარაძე და გიორგი ჩელებაძე (ცნობილი ფეხბურთელის რევაზ ჩელებაძის ვაჟი).

უახლოეს დღეებში „ბათუმი“ ქობულეთის „შუქურასთან“ ამხანაგურ მატჩს გეგმავს.

ნუკრი ლოლაძე

მერანმა დიდუბე უნდა გააოცოს

თბილისის „მერანი“ დიდუბის მძლეოსნობის დარბაზში აგრძელებს მეორე წრისთვის მზადებას. დედაქალაქელები შეკრების მოწყობას დიდუბეშივე აპირებენ, ოღონდ ჯერ შენობის გათბობის საკითხი ყოფილა მოსაგვარებელი.

ბექა ნოზაძის, ზურაბ ავალიანის და დავით სევასტოპულოს შემდეგ გუნდი ვეტერანმა თენგიზ კობიაშვილმაც დატოვა.

დავით ეჯიბიშვილის გუნდს შეემატა ბოლნისის „სიონიდან“ წამოსული გიორგი თავბერიძე, რომელსაც საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებში უთამაშია.

და კიდევ ერთი ახალგაზრდა ისინჯება „მერანში“ — ლევან ბაკურაძე. მისი წასვლა-დარჩენის საკითხი უახლოეს მომავალში გაირკვევა.

ნუკრი ლოლაძე

ბადრი კობელაძის ფოტო

პროტასოვმა სწრაფი მემარცხენე შეაქო

სანდრო კობახიძის თამაშმა დიდი ყურადღება რომ მიიპყრო, გუშინაც ვწერდით. ჯერჯერობით ოლეგ პროტასოვი მის მიმართ მხოლოდ საქებარ სიტყვებს ამბობს...

„კობახიძეს კარგი მარცხენა და სისწრაფე აქვს. კონტრაქტს გავაფორმებთ თუ არა, უახლოეს დროში გადაწყვეტთ. ჯერ მინდა, ეს ფეხბურთელი საქმეში კიდევ ვნახო“ — განაცხადა პროტასოვმა.

შეგახსენებთ, რომ კობახიძესთან ერთად „დნიპროში“ გასინჯვაზეა „ზესტაფონის“ თავდამსხმელი გიგი ფიფიაც, ხოლო ჯაბა კანკავა კარგა ხანია, „დნიპროს“ საკვანძო ფეხბურთელად ითვლება.

მიხეილ ჟორჟოლიანი

ტრაპმირებული მარცვალაძე ალადაშვილს ვერ გაჰყვა

უკრაინული „ხარკოვი“ თურქულ შეკრებაზე გაემგზავრა და თან კახა ალადაშვილი იახლა. წესით, ხარკოველებს ოთარ მარცვალაძეც უნდა წაეყვანათ, თუმც ოთარი ჯერ ექიმების მეთვალყურეობის ქვეშ არის და, როგორც კლუბის ოფიციალური ვებგვერდი გვაცნობს, მარცვალაძე, შესაძლოა, გუნდს მოგვიანებით შეუერთდეს.

„ხარკოვის“ მთავარი მწვრთნელის, ვლადიმირ ბესონოვის თქმით, ორივე ქართველის გუნდში დატოვების საკითხს სწორედ თურქული შეკრების შემდეგ გადაწყვეტს.

მიხეილ ჟორჟოლიანი

ირლანდია ვენეიბლზს ნელ-ნელა უახლოვდება

ვინ იქნება ირლანდიის ნაკრების თავკაცი მუნდიალ 2010-ის შესარჩევ ციკლში, ეს ალბათ იანვრის ბოლომდე გაირკვევა, თუმც ყველაზე დიდი შანსი 65 წლის ტერი ვენეიბლზს აქვს.

მხცოვანი ინგლისელი, რომელსაც წარმატებული საშწვრთნელო კარიერა აქვს, ირლანდიის ფეხბურთის ასოციაციის ფავორიტია. ვენეიბლზთან კონტრაქტი კვირის ბოლომდე გაფორმდებაო.

ისე, მისტერ ტერი საქართველოს ნაკრების თანაკგუფელს, ბულგარეთს უნდოდა მწვრთნელად, თუმც სლავებმა პლამენ მარკოვი აირჩიეს — როგორც გაირკვა, ვენეიბლზს ბულგარელთათვის მიუღებელი თანხა მოუთხოვია.

და თუ ვენეიბლზის ვარიანტი არ გამოვიდა, ირლანდიის ფეხბურთის შეფები ჩრდილოეთ ირლანდიის ნაკრებისა და ინგლისური „ფულემის“ ყოფილ თავკაც ლორი სანჩესზე გადაერთვებიან.

„კელტების“ ნაკრების გაწვრთნა უკვე თუარეს „რედინგის“ დამრიგებელმა სტივ კოპელმა და ერთ დრო ს მრისხანე „ლიდსის“ თავკაცმა დევიდ ოლირიმ.

ილია ნანობაშვილი

კიდევ ათი დღე დაგვჭირდება

მალხაზ ასათიანი მარტო მწვრთნელს არ ეთანხმება

მოსკოვის „ლოკომოტივი“ თურქულ შეკრებაზეა და ახალი სეზონისთვის ემზადება. გუნდთან ერთად არის მალხაზ ასათიანი და ისე როგორ იქნება, რკინიგზელთა ქართველი ლიდერი ჟურნალისტებმა არ შეანუხონ — შეიძლება ითქვას, ასათიანს მათგან მოსვენება არ აქვს...

— შვებულების შემდეგ ყოველთვის ძნელია. ალბათ, ათიოდ დღე კიდევ დაგვჭირდება, ყოველ შემთხვევაში, მე აუცილებლად. მთელი თვე ვისვენებდი, არაფერს ვაკეთებდი... ვეცადე, დღესასწაულებზე ფორმა შემენარჩუნებინა, მაგრამ ვერ შევძელი — გულახდილად დაიწყო საუბარი ასათიანმა.

— „ლოკომოტივს“ ახალი მწვრთნელი ჰყავს. რა შეგიძლიათ თქვათ, რაშიდ რახიმოვზე?

— რაც ვნახე, კარგი შთაბეჭდილება დატოვა. ეტყობა, რომ მომთხოვნია და ეს კარგია.

— „ლოკომოტივში“ ყოველთვის კარგი ატმოსფერო იყო და ამით გამოირჩეოდა, გასულ სეზონში კი ერთ-ერთი სკანდალური გუნდი გახდა...

— ამის გახსენებაც არ მინდა, საშინელი სეზონი გვქონდა... მე-7 ადგილი... თუმცა მარტო ადგილში როდია საქმე, თამაში არ მიგვდიოდა. ამაში მარტო მწვრთნელს ნუ დავადანაშაულებთ — უფრო გუნდს ეკისრება პასუხისმგებლობა, ვიდრე ერთ კაცს.

— მორალური თვალსაზრისით, გუნდში რა მდგომარეობაა?

— პირადად მე უხერხულად ვგრძნობ თავს გულშემატკივართა წინაშე. ამდენი მაყურებელი დადის თამაშებზე, ჩვენ კი მე-7 ადგილზე გავედით. კი გვქონდა რამდენიმე კარგი თამაში, მაგალითად, „სპარტაკთან“, თუმც... ვპირდები გულშემატკივრებს, რომ ასეთი რამ არ განმეორდება.

— მიზნები უკვე გაგაცნოთ ხელმძღვანელობამ?

— მეექვსე წელია, „ლოკომოტივში“ ვარ და ჩვენი მიზანი მუდამ ერთი იყო — პირველი ადგილი.

— „ლოკომოტივმა“ დმიტრი ტორბინსკი შეიძინა, რას ფიქრობთ მასზე?

— კარგი ფეხბურთელია. ეს „სპარტაკში“ თამაშისასაც დაამტკიცა. იმედი გვაქვს, თავის სიტყვას „ლოკომოტივშიც“ იტყვის.

— ბრანისლავ ივანოვიჩი არ დაგაკლდებათ?

— ძალიან. რა კითხვა უნდა, ძლიერი ფეხბურთელია, გასული სეზონი კლუბშიც და სერბეთის ახალგაზრდულ ნაკრებშიც უმაღლეს დონეზე ჩაატარა. მას შეუძლია, ნებისმიერ ევროპულ კლუბს სარგებლობა მოუტანოს.

— „ლოკომოტივს“ მოკლე, ათდღიანი შეკრება აქვს თურქეთში...

— ეს კარგია. ათი დღე ბევრი არ არის, ამასთან, ყოველი შეკრების შემდეგ, ამოსუნთქვის საშუალება გვექნება.

ბურდულის რეაბილიტაცია

გერმანულ „კოტბუსთან“-გამანადგურებელი წაგების (0:8) შემდეგ ლუგანსკის „ზარია“ კორეულ „დაეგის“ გაეჯიბრა ამხანაგურად და 2:0 სძლია.

ლუგანსკელთა ქართველმა ვლადიმერ ბურდულმა მხოლოდ პირველი ტაიმი ითამაშა, მეორე ტაიმში კი „ზარიას“ მწვრთნელმა ალექსანდრ კოსევიჩმა მთელი გუნდი შეცვალა.

მიხეილ ჟორჟოლიანი

დემეო გაიტანა და გაატანინა

თურქულ ბელეკში „ქართული“ საკონტროლო დერბი შედგა — ილია კანდელაკის, გიორგი სეთურიძისა და გიორგი ონიანის „კარლ ცაისი“ გიორგი დემეტრაძის „არსენალს“ შეხვდა და 1:2 წააგო.

ონიანს ტრავმის გამო არ უთამაშია, ხოლო დანარჩენი ქართველები საქმეში პირველი უგოლო ტაიმის შემდეგ ჩაერთვნენ. გატანილი სამი გოლიდან ჩვენებურებმა მონაწილეობა ერთში მიიღეს, როდესაც დემეტრაძემ უმცროს ზავაროვს გაატანინა.

გატანით დემეტრაძემაც გაიტანა, ოღონდ წინა დღეს — ნოვოსიბირსკის „სიბირთან“ მატჩში (4:1). საქართველოს ეროვნული ნაკრების თავდამსხმელმა შესანიშნავი საჯარიმო დარტყმით გახსნა ანგარიში.

მიხეილ ჟორჟოლიანი

იაშვილის სრული მატჩი

სრული 90 წუთი ითამაშა სანდრო იაშვილმა კორეის ოლიმპიური ნაკრების წინააღმდეგ, თუმც ვერც მან და ვერც თუნელმა თანაგუნდელებმა კორეელების წინააღმდეგობა ვერ გატეხეს და უგოლო ფრეს გამორჩნენ.

უიშვიათესი შემთხვევაა, როდესაც იაშვილი „თუნის“ შემადგენლობაში მთელ მატჩს თამაშობს, თუმც კორეელებთან აქტიურად გაისარჯა და მწვრთნელიც ბოლომდე ენდო.

მიხეილ ჟორჟოლიანი

ლიცენზირებული პერტია ბაბუნაშვილს მალე იტყვის



ლატვიური „დინაბურგის“ მწვრთნელმა თამაზ პერტიამ 18 იანვარს გამოცდები წარმატებით ჩაბარა და უეფას A კატეგორიის სამწვრთნელო ლიცენზია აიღო.

„დინაბურგი“ ჩვენთვის იმითაც არის საინტერესო, რომ იქ გასინჯვაზე „ბორჯომის“ ყოფილი ფეხბურთელი შოთა ბაბუნაშვილი იმყოფება. პერტია გუნდში შოთას დატოვების საკითხს უახლოეს დღეებში გადაწყვეტს.

„სამი საკონტროლო მატჩი გავმართეთ და აქედან მხოლოდ ერთი წავაგეთ „სკონტოსთან“. ამის მიუხედავად, ფეხბურთელებით კმაყოფილი ვარ, პირველ რიგში სათამაშო დისციპლინით. გუნდში რამდენიმე ფეხბურთელი ისინჯება. უცხოური შეკრების წინ კიდევ გავმართავთ საკონტროლო მატჩებს და ამის შემდეგ გადაწყვეტთ მათ საკითხს. სადღეისოდ სერიოზული მუშაობა მიდის და მოხარული ვარ, რომ ფეხბურთელებს ყველაფერი კარგად ესმით. ვთვლი, რომ სწორ გზაზე ვდგავართ და გულშემატკივარს აუცილებლად გავახარებთ“ — განაცხადა პერტიამ.

მიხეილ ჟორჟოლიანი

კახა ცხადაძემ მოგებით დაიწყო

დიდი ხანი არ არის, რაც კახა ცხადაძე აზერბაიჯანულ „სტანდარტს“ ჩაუდგა სათავეში. მისი ხელმძღვანელობით გუნდმა ვარჯიშები დაიწყო და ერთი საკონტროლო მატჩიც გამართა.

ცხადაძის არაოფიციალური დებიუტი წარმატებული გამოდგა — „ნეფთჩის“ მეორე გუნდთან მატჩში ცხადაძის შეგირდებმა დიდი ანგარიშით, 4:0 იმარჯვეს.

მიხეილ ჟორჟოლიანი

„სპილოები“ კალუს გოლს ზეიმობენ

როცა ბედი სპილოებს უღიმის

A ჯგუფი

მაროკო 5:1 ნამიბია

1:0, 2:0 ალუდი (1, 5) 2:1 ბრენდელი (24), 3:1 ალუდი (28), 4:1 სექტიუი (39პ), 5:1 ზერკა (73)

მაროკო: ფუამი, კრეტიენი, უადუ, ერბატი, ელ კადური, საფრი, კაბუსი, ალუდი (მოხტარი 61), სექტიუი (აბუშერუანი 66), შამახი, ჰაჯი (ზერკა 70)

მწვრთნელი: ანრი მიშელი

ნამიბია: შინინგაიამვე, ეიპრილი (შატიმიენე 46), გარისები, პიენარი, კაიმბი, ბრენდელი, რისერი, ჯეიკობსი, ნგაჭიზეკო, ბენჯამინი, ბესტერი (ჯეიკობი 64)

მწვრთნელი: არი შანსი

მსაჯი: რაფაელ დივაინ ევეჰე (კამერუნი)

გუშინ აფრიკის ეროვნებათა თასზე A ჯგუფის მეორე მატჩი შედგა. საქმეში შავი კონტინენტის სხვადასხვა პოლუსებზე მდებარე ქვეყნების წარმომადგენლები ჩაერთვნენ — ჩრდილეული მაროკოელები და სამხრეთელი ნამიბიელები. მაროკოული ფეხბურთი გაკილებით დიდი ტრადიციებისაა და გუშინდელ შეხვედრაში ეს დადასტურდა კიდეც.

სახელოვანი ფრანგის ანრი მიშელის შეგირდებმა ნამიბიელებს ყველა კომპონენტში აჯობეს — გინდ ტექნიკურად და გინდ ტაქტიკურად. შეხვედრის გმირი კი სრულიად უცნობი მაროკოელი, 24 წლის სუფიანე ალუდი გახდა, რომელიც მოკრძალებულზე მოკრძალებულ კლუბში, სუდანურ „ალ აინიში“ ასპარეზობს. ჰოდა, ამ ალუდიმ ავტორიტეტული თანაგუნდელების, პორტუელი თარიქ სექტიუის, ნანსელი იუსეფ ჰაჯისა და ბორდოელი მარუანე შამახის დახმარებით კვირას დაწყებული ტურნირის პირველი ჰეთრიკი გამოაცხო. მაროკოელთა ანგარიშს თითო გოლი ხსენებულმა სექტიუიმ და ჰაჯის ნაცვლად შეცვლაზე შესულმა მისივე თანაკლუბელმა მონსეფ ზერკამ შემატეს, ნამიბიელებმა კი საპასუხოდ ერთადერთხელ გაიტანეს. „ძალზე კმაყოფილი ვარ ჩემი ბიჭების დღევანდელი თამაშით. ყველაფერი რიგზეა“ — ასეთი იყო ანრი მიშელის კომენტარი.

მაროკო	1	1	0	0	5:1	3
განა	1	1	0	0	2:1	3
გვინეა	1	0	0	1	1:2	0
ნამიბია	1	0	0	1	1:5	0

B ჯგუფი

ნიგერია 0:1 კოტ დივუარი

0:1 კალუ (66)

ნიგერია: ეჯიდე, იობო, შიტუ, აპამი, ტაივო, მიკელი, ოლოფინჯანა, კანუ (ოკონკვო 55), უტაკა (ოდემვინგი 74), აიეგბენი, მარტინსი (მაკინვა 79)

მწვრთნელი: ბერტი ფოგთსი

კოტ დივუარი: ბარი, ებუე, კ. ტურე, მეიტე, ბოკა, ი. ტურე, ზოკორა, გოპური (ა. კეიტა 46), დროგბა (ბ. კონე 84), კალუ, დინდანი

მწვრთნელი: ჟერარ ჟილი

მსაჯი: მოჰამედ ბენუზა (ალჟირი)

B ჯგუფის სასტარტო მატჩის ბედი კი ერთადერთმა გოლმა გადაწყვიტა. ნიგერიის ნაკრები ამ ტურნირზე საკმაოდ სოლიდური და ავტორიტეტული ფეხბურთელებითაა წარმოდგენილი, ხოლო მწვრთნელზე საუბარიც არ უნდა იყოს — „სუპერარწივებს“ სახელგანთქმული ბერტი ფოგთსი თავკაცობს. თუმცა, ამ გუნდს სტარტი ჩაუფლავდა და ნიგერიელთა მარცხში უდიდესი როლი კოტდივუარელი „სპილოების“ თავდამსხმელმა სალომონ კალუმ ითამაშა. აბსოლუტურად თანაბარი თამაშის 66-ე წუთზე ლონდონის „ჩელსის“ შემტევმა ბურთი ოსტინ ეჯიდეს საჯარიმოში მიიღო, ნატიფი და ელეგანტური დრიბლინგით სამი ნიგერიელი მცველი დაიბრიყვა და უნაკლო დარტყმით ბურთი კარის ბადეში გაახვია.

არადა, პირველ ტაიმში გოლის გატანასთან ახლოს ნიგერიელები იყვნენ — „მარსელის“ მცველმა ტაივ ტაივომ საჯარიმო დარტყმით კოტდივუარელთა ექსცენტრიული კიპერის კარის ხარიხა შეაზანზარა. „ექსცენტრიული“ იმიტომ, რომ იგივე პირველ ტაიმში „სპილოთა“ კარის დარაჯმა ბუბაქარ ბარიმ სამ ეპიზოდში პუბლიკა ერთობ არაადექვატური მოქმედებით გვარიანად გაახალისა.

მთლიანობაში თამაში მეტად სწრაფ ტემპში წარიმართა, თუმცა ისიც უნდა ვაღიაროთ, რომ საანგარიშო მატჩი არც დიდიე დროგბასთვის აღმოჩნდა საუკეთესო და არც ნებისმიერი სხვა მისი მონაწილისთვის. დაძაბულობამ გუნდების მიერ ნაჩვენები ფეხბურთის ხარისხზე ნეგატიურად იმოქმედა, სალომონ კალუს სუპერგოლი კი ამ მატჩის ნამდვილი მშვენება იყო.

სლავა გასპაროვი

უზრდელობა ალექს ფერგიუსონმა ხელი ხელს ამოჰკრა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალექს ფერგიუსონს ინგლისის ფეხბურთის ასოციაციაში წესრიგისა და დისციპლინის იქაურ მცველებთან მოუწევს საქმის დაჭერა — შაბათს, „რედინგთან“ პატივცემულმა, უფრო კი ლეგენდარულმა, თანაც გოლით გახარებულმა სპეციალისტმა ორჯერ ისეთი ჟესტი იკადრა, უხეშად და უზრდელურად რომ არის მიჩნეული — ერთი ხელი მეორეს ქვევიდან ამოჰკრა.

როგორც მოგახსენეთ, ეს ამბავი რედინგში მოხდა. პირველად სერ ფერგიუსონმა აღწერილი ჟესტი მაშინ იკადრა, როდესაც კრიშტიანუ რონალდუმ ანგარიში გახსნა. სქოთმა მწვრთნელმა ამ მეთოდით მასპინძელთა ერთ-ერთ მწვრთნელს ანუ საკუთარ კოლეგას, უოლი დონესს უთხრა „ეგეც შენო“, მეორედ კი ფერგის უზრდელობის მსხვერპლი რედინგელი ფანობა შეიქნა — როდესაც უეინ რუნიმ მეორე გოლი შეაგდო და თამაშს წერტილი დაუსვა, სტუმრების თავკაცმა ერთხელაც ამოჰკრა ხელი ხელს.

და რას ამბობს ახლა, უკვე ცივ გულზე სერ ალექსი? რას და, ჩემი ჟესტები აგრესული და უზრდელური არ ყოფილა, უბრალოდ გამარჯვების სიხარულს გამოხატავდაო.

„რედინგის“ თავკაცი სტივ კოპელი: „ალექსს კარგა ხანია ვიცნობ და შემიძლია ვთქვა, რომ ასაკის მატებასთან ერთად არც ნაპერწკალს კარგავს და არც სიხისტეს. მას ხალხის დათრგუნვა ეხერხება და თუ გინდა ამას გადაურჩე, რამენაირად პასუხი უნდა გასცე. დაბეჯითებით შემიძლია იმის თქმაც, რომ მისი ჟესტი უოლი დონესის მიმართ, მისთვის საკუთარი ადგილის მითითებას ნიშნავდა“.

ფერგიმ კი ასე თქვა: „ერთადერთი, რაც ამ ჟესტებით გამოვხატე, სეზონის ერთ-ერთ ყველაზე რთულ მატჩში გატანილი გოლით გამოწვეული სიხარული იყო. „რედინგი“ ჩვენთვის ყოველთვის ძნელი მეტოქე იყო და ასეთადაც რჩება. ამ დღეს ჩემმა ფეხბურთელებმა იმდენი ირბენეს, სეზონის არცერთ სხვა შეხვედრაში რომ არ ურბენიათ“.

ამასთან, უნდა ითქვას, რომ კონფრონტაცია ორივე მხარემ მალე დაივიწყა და მატჩი დამთავრდა თუ არა, ფერგიმ ხელი ორივეს ჩამოართვა, კოპელსაც და დონესსაც. მეტიც, მოგვიანებით გამარჯვებულთა მწვრთნელმა დამარცხებულთა მწვრთნელთან ერთად ჭიქა დახვეწილი წითელი ღვინოც კი მოწრუპა, მაგრამ ეს იმისგან, რაც ჩვენი მოკლე წერილის პირველ წინადადებაში მოგახსენეთ, ვერ დაიცავს — ფეხბურთის ასოციაციის სადისციპლინო კომიტეტი თავის გამოსაკვლევს მაინც გამოიკვლევს.

სხვათა შორის, შეგახსენებთ, რომ დიდი ხანი არ არის, რაც ფერგიუსონს ორი თამაშით აკრძალული ჰქონდა სათადარიგოთა სკამთან ტრიალი. მიზეზი: ნოემბერში, „ბოლტონთან“ დამარცხების შემდეგ, სერ ალექსმა მსაჯ მარკ კლეტენბურგს რაღაც ისეთები უთხრა, რაც, აუცილებლად დისკვალიფიკაციად უნდა შეფასებულიყო.

და, ბარემ აქვე მოგახსენებთ, რომ „რედინგთან“ თამაშის შემდეგ „მანჩესტერ იუნაიტედი“ თვითმფრინავში ჩაჯდა და საუდის არაბეთს გაეშურა, სადაც, ერ რიადში, ადგილობრივი ვარსკვლავის, სამი ალ-ჯაბერის გამოსათხოვარი მატჩი ელის. სამი ალ-ჯაბერის 35 წლისა მოიყარა და ფეხბურთის თამაშს თავს ანებებს. ცნობისთვის: ამ თამაშში მონაწილეობაზე თანხმობამ „მანჩესტერ იუნაიტედი“ 800 000 გირვანქით გაამდიდრა. უკვე შეგვიძლია გითხრათ, რომ ინგლისის ჩემპიონი დანიშნულების ადგილზე ჩავიდა და აეროპორტში ზღვა ხალხიც დახვდა.

პაპუნა კედია

ძვლეზი უნდა დაიმტვრეს

„რედინგის“ კაპიტანი გრემ მარტი თავის ერთ-ერთ თანაგუნდელს დასისხლიანებას და ფეხების გადამტვრევას ჰპირდება, ოღონდ პრობლემა აქვს — არ იცის, ვინ არის საცემი.

რაც ვთქვით, თან გასაგებია და თანაც გაუგებარი, ხომ? ანუ, ცემასთან დაკავშირებით ყველაფერი გასაგებია, თუმცა რას ემართლება მარტი რომელიღაც თანაგუნდელს და რატომ არ იცის, რომელ თანაგუნდელს ემართლება, გაუგებარია, არა? ჰოდა, ამასაც უპრობლემოდ აგიხსნით. „რედინგი“, როგორც იცით, შაბათს „მანჩესტერ იუნაიტედს“ შეხვდა, ვაჟკაცურად დაუდგა და ბოლოსღა გატყდა, 0:2 წააგო. თამაშის შემდეგ კი მანჩესტერელთა პორტუგალიელი ვარსკვლავისთვის, კრიშტიანუ რონალდუსთვის მაისურის გაცვლის ბედნიერება სწორედ მარტის ხვდა წილად — თანაგუნდელებს აჯობა. ერთი სიტყვით, „რედინგის“ კაპიტანი გასახდელში დიადი ნადავლით ხელდამშვენებული შევიდა, მაისურა დადო, თვითონ საშხაპეში შევიდა და რომ გამოვიდა...

„ვიღაც აქაურის აღებულია და რომ გავიგებ, დავასისხლიანებ, ფეხებს გადავამტვრევ — თქვა გრემ მარტიმ — სულ ერთია, ფეხბურთელია, იუნიორი თუ კლუბის სხვა თანამშრომელი. ეჭვმიტანილთა სია უკვე შევადგინე, მაგრამ ხმამაღლა ჯერ არ ვიტყვი. არ მინდა გავაფრთხილო. ერთი რამ კი ნაღდად ვიცი და ვიმეორებ — ქურდი ჩვენი კლუბის წევრია.

რონალდუ საფინალო სასტვენის შემდეგ ჩემთან ყველაზე ახლოს იდგა და მეც ამიტომ ვთხოვე მაისურა. შემდეგ საშხაპეში შევედი და როდესაც ჩანთასთან დავბრუნდი, ოი, საოცრებავ, რონალდუს მაისურა ადგილზე აღარ დამხვდა. იცოდეთ, ძალიან გაღიზიანებული ვარ“.

„რედინგის“ ირლანდიელი თავდამსხმელი კევინ დოილი: „ჩვენი კაპიტანი გასახდელში ყვიროდა და მართალი რომ გითხრათ, მის ადგილზე მეც ძალიან გავღიზიანდებოდი. მე თუ მკითხავთ მან რონალდუს წინააღმდეგ კარგად ითამაშა, შემდეგ ამ თამაშის სახსოვრად მაისურა მიიღო და უცებ ირკვევა, რომ ეს მაისურა მოპარეს“.

პაპუნა კედია

მშვიდობა შენდა, კევინ, მაიკლ ოუენი მოგესალმება

როგორც The News of the World წერს, მაიკლ ოუენისთვის ახლა ჯარიერის ერთ-ერთი ყველაზე საჭოჭმანი მომენტი დგას – ის „ნიუკასლ იუნაიტედში" თამაშობს, „ჯაჭჯაჭთა" გუნდის თავჯაცად ჯი მივიდა ჯაცი, რომელიც მან სამი წლის წინ თავის ავტობიოგრაფიულ წიგნში გააჯრიტიკა.

ვერ გეტყვით, რას ელოდა ინგლისის ნაკრების ფორვარდი, მაგრამ მისი და კევინ კიგანის პირველი შეხვედრა გასულ ოთხშაბათს, „სტოკ სიტისთან" სათასო მატჩის შემდეგ შედგა და უნდა ითქვას, რომ შორიდან მაცქერალი კაცისთვის შემაშფოთებელი არაფერი მოშხდარა — მწვრთნელმა და ფეხბურთელმა ერთმანეთს ხელი საკმაოდ თბილად ჩამოართვეს, ორიოდ სიტყვა გაცვალეს და ეს იყო.

მერე ოუენმა თქვა: „კევინი გვერდით მომიჯდა და მითხრა: შენ რამდენიმე დიდ კლუბში გაქვს ნათამაშები, „ლივერპულსა" და „რეალში" იყავი და იცი, როგორი ატმოსფერო უნდა სუფევდეს ასეთ ადგილებში, მაგრამ მერწმუნე, შენ წარმოდგენა არ გაქვს, როგორი შეიძლება იყოს „ნიუკასლ იუნაიტედი".

კიგანმა ორიოდ წინადადებით ჩააყენა მაიკლ ოუენი საქმის კურსში, აუხსნა, თუ როგორი უნდა გახდეს „ჯაჭჯაჭთა" გუნდი, რაც, როგორც გაირკვა, ძალიან განსხვავდება იმისგან, რასაც გუნდის წინა მწვრთნელი სემ ალარდაისი ფიქრობდა და ამბობდა.

ოუენი: „უნდა ვაღიარო, კევინმა დამარწმუნა, რომ წინ დიდებული დროება გველის და მინდა მისი მონაწილე ვიყო. ანკი დამისახელეთ თავდამსხმელი, რომელსაც კევინ კიგანის ხელმძღვანელობით თამაში არ სურს. მწვრთნელებს ხშირად ერთმანეთისგან განსხვავებული ხედვა აქვთ. მაგალითად, სემ ალარდაისისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი დაცვის ოთხეულია, მისთვის მთავარია, გოლი არ გაუშვას და 1:0 ხელს აძლევს. გოლის არგაშვება მთავარია კიგანისთვისაც, მაგრამ ამის გარდა, ის ლაშაზ ფეხბურთსაც ითხოვს და უნდა, მისმა ფეხბურთელებმა რაც შეიძლება მეტი გოლი გაიტანონ. ეს მიდგომა ჩემთვის ძალიან ბევრს ნიშნავს. აშკარაა, რომ კიგანს ბევრი მოძრაობით, პასებითა და გადაადგილებებით თამაში უნდა. ამაში სიმოვნებით მივიღებ მონაწილეობას".

ერთი სიტყვით, რაც კიგანი „ნიუკასლ იუნაიტედის" მწვრთნელად დაინიშნა, ოუენს ხელი ჩამოართვა და გეგმები გააცნო, არსად არაფერი თქმულა თავდამსხმელის ავტობიოგრაფიის შესახებ, სადაც, როგორც ზემოთ მოგახსენეთ, მოთამაშემ მწვრთნელი გააკრიტიკა. არადა, ცნობილია, რომ ვიწრო წრეში, კერძო საუბრისას კიგანმა თქვა, ოუენზე ძალიან ნაწყენი ვარ, ეს რამ დააწერინაო.

ამბავი, რომელიც მაიკლ ოუენის წიგნშია აღწერილი, ევროპის 2000 წლის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე დატრიალებულ მოვლენებს ეხება. მოგეხსენებათ, მაშინ კიგანი ინგლისის ნაკრებს წვრთნიდა, ოუენი კი მისი გუნდის თავდამსხმელი იყო.

მაგრამ ირკვევა, რომ როგორც მწვრთნელი, ასევე მოთამაშე, დღეს იმ ძველ ამბავზე ლაპარაკს აღარ აპირებს, თუმცა ოუენი ამბობს, რომ ავტობიოგრაფიაში დაწერილ ყოველ სიტყვაზე თავით აგებს პასუხს. აი, მაგალითად, რა მოხდა რუმინეთის ნაკრებთან ბოლო ჯგუფური თამაშის წინ.

წიგნში წერია: „კიგანმა მითხრა, მაიკლ, ჩემს ადგილას ნებისმიერი სხვა მწვრთნელი ხვალ შენ არ გათამაშებდა. ან საკუთარი თამაში უნდა გამოასწორო, ან რაღაცის შეცვლა მოგვიწევს".

დღეს, ჟურნალისტებთან საუბრისას ოუენი ასე ამბობს:

„ყველაფერი, რაც [illegible] ის წინ გამოქვეყნებულ ავტობიოგრაფიულ წიგნში წერია, ჩემი გულწრფელი პოზიცია და შეხედულებაა. დღევანდელი გადასახედიდანაც, იმ სიტყვების უკან წასაღებად ვერანაირ მიზეზს ვერ ვხედავ. რამდენადაც კევინის პარასკევის პრესკონფერენციიდან მიკვირდი, ისიც ამ აზრზეა. დიახ, შესაძლოა ის სიტყვები გაწბილებული კაცის ცხელ გულზეა ნათქვამი, მაგრამ რაც არის, იმ მომენტისთვის გულწრფელი იყო. ახლა ამ ისტორიას არანაირი მნიშვნელობა აღარ აქვს. ვიცი, იმხანად კარგად ვერ ვთამაშობდი, მაგრამ ეს ის დროა, როდესაც „ლივერპულში" ვთამაშობდი და ჩემი კარიერის პირველი სერიოზული ტრავმა მივიღე. საშინელი იმედგაცრუება მტანჯავდა და ჩემს გამოსწორებას ხელს ნამდვილად არ უწყობდა პირველ შეხვედრაში შესვენებისას შეცვლა, მეორეში კი მოედნიდან მე-60 წუთზე გაყვანა. მაშინდელ დროს ჩემი კარიერის უმძიმესი პერიოდი ვუწოდე და ის მწარე გრძნობა დღემდე მახსენებს ხოლმე თავს. ზოგადად კი კევინზე, როგორც ინგლისის ნაკრების მწვრთნელზე, ცუდს ნამდვილად ვერაფერს ვიტყვი, რადგან მან გუნდში ჩინებული ატმოსფერო შექმნა. მისი, როგორც ადამიანის ან პროფესიონალის საწინააღმდეგო ნამდვილად არაფერი მაქვს".

და როგორც ფეხბურთელისა და მწვრთნელის შეხვედრამ გვაჩვენა, მათ ურთიერთობაში ხინჯი არ არის. მეტიც, განა შაბათს, პრემიერლიგის შეხვედრაში კაპიტნის სამკლავურის ოუენისთვის შებმა კიგანის მხრიდან ძალიან გასაგები ჟესტი არ არის?

პაპუნა კედია

ბაი-ბაი, დუბაი

„ლივერპულს" ისევ ჩამოშვებული დარჩა ცხვირი — მერსისაიდული გუნდის ამერიკელმა მეპატრონემ ტომ ჰიკსმა გუშინწინ გავრცელებული ცნობის გამათიელება იჩქარა და საჯაროდ განაცხადა, კლუბი ჩემია, მისი გამყიდველი არა ვარო.

გახსოვთ ხომ, რაზეც არის ლაპარაკი? „სარბიელშიც" გვეწერა ის, რაც მთელს მსოფლიოს მოედო: თითქოს ჰიკსმა და მისმა ბიზნეს-პარტნიორმა ჯორჯ ჯილეტმა „დუბაი ინტერნეშენალ კაპიტალს" პრემიერლიგური კლუბის ყიდვაზე თანხმობა განუცხადეს. ლაპარაკი იყო ძალიან დიდ თანხაზე, დღევანდელი მონაცემებით — 500 მილიონ გირვანქაზე.

მაგრამ, მულტიმილიონერმა ჰიკსმა, როგორც მოგახსენეთ, ჟურნალისტებთან შეხვედრა არ დააყოვნა და განაცხადა: „კლუბის გაყიდვის შესახებ წინადადება არც „დუბაი ინტერნეშენალ კაპიტალისგან" მიმიღია და არც რომელიმე სხვა ორგანიზაციისგან. შესაბამისად, „ლივერპულის" მიყიდვას ვერავის დავპირდებოდი. მეტიც, ამის არანაირი სურვილი არ გამაჩნია".

აღსანიშნავია, რომ ბოლო დროს მიმდინარე ამბები, თავი მხრივ, ძალიან აღიზიანებს ფანებს, რომლებიც ამერიკელი მეპატრონეების წინააღმდეგ დემონსტრაციის მოწყობასაც კი აპირებენ, ხოლო ჟურნალისტებმა ჰიკსის ოჯახის ერთ-ერთ წევრს მიაკითხეს და მისგან გულწრფელი პასუხი მიიღეს:

„ორივე მეპატრონეს ყელში ამოუვიდა „ლივერპულთან" დაკავშირებული ამბები და ამ ყველაფრისგან თავის დაღწევას აპირებენ".

შეგახსენებთ, რომ დამბულობამ მას მერე იმატა, რაც მისტერ ჰიკსმა თავისი პირით მოყვა, რომ ორი თვის წინ, ლივერპულელთა ახლანდელი მწვრთნელის, რაფა ბენიტესის ზურგსუკან ის და ჯორჯ ჯილეტი იურგენ კლინსმანთან აპირებდნენ გარიგებას, რათა გერმანელს ესპანელი შეეცვალა.

და მაინც, ჰიკსი ისე იქცევა და ლაპარაკობს, თითქოს „ლივერპულიდან" ფეხის მოცვლას არ აპირებდეს:

„არ ვიცი ვინ ავრცელებს ჭორებს და ვინ დგას სიცრუეზე აგებული წერილების უკან, მაგრამ ვაცხადებ, რომ მე და ჩემი ოჯახი ვიყავით, ვართ და ვიქნებით „ლივერპულში" მუშაობითა და მისი ბედით დაინტერესებულნი. ჩემს ოჯახის წევრთაგან არავის არასდროს უთქვამს, თითქოს მე აქციების გაყიდვას ვაპირებდე. ჩვენ გვინდა მომავალშიც „ლივერპულის" თანამფლობელები ვიყოთ და წლების განმავლობაში დიდი ძალისხმევით შევუწყოთ ხელი მწვრთნელს, ფეხბურთელებსა და ფანებს".

პაპუნა კედია



მოუწევს პოლდის ბაიერნის დატოვება?

ული ჰიონესი 22 წლის თავდამსხმელ ლუკას პოდოლსკის განთხოვრებას ფიქრობს. მოუწევს მას ზამთარშივე „ბაიერნის" დატოვება?

მენეჯერის განცხადებით, მათ ჯერ კიდევ ბევრი აქვთ სალაპარაკო ამ საკითხზე: „მსურს, დახმარების ხელი გავუწოდო, რათა ევროპის ჩემპიონატზე შეძლოს თამაში. და თუ მას ახლავე გავანათხოვრებთ და ყველაფერი კარგად წავა, მაშინ ეს გადაწყვეტილება სწორი იქნება".

ამჟამად პოლდი კლუბში მეოთხე თავდამსხმელის სტატუსით სარგებლობს, რაც ძალიან სეჭვოს ხდის ევრო 2008-ზე მის მოხვედრას, რადგანაც საკმარისად არიან ისეთი ფორვარდები, რომლებიც თავიანთ კლუბებში წამყვან როლებს ასრულებენ. მაგალითისთვის საკმარისია, ალბათ, მიკე ჰანკეს („ჰანოვერი"), მარიო გომესისა („შტუტგარტი") და შტეფან კისლინგის („ლევერკუზენი") დასახელება.

პოდოლსკის მიმართ დაინტერესება საკმაოდ დიდია. დიდი ხანია, „მანჩესტერ სიტი" მის გადაბირებას ცდილობს, „ქალაქელები" არა. მარტო „პოლდის" ნათხოვრობაზე, არამედ ყიდვაზეც თანახმანი არიან. „ვერდერი" კი ნიშანსღა ელოდება, რათა მის ტრანსფერზე სერიოზულად დაიწყოს ფიქრი. ნიშანი კი გუშინ ჰიონესმა გააჟღერა...

ნინო სილაგაძე

შვიდმზმა მითხრეს: მამა, აქ დარჩი

იენს ლემანს მიაჩნია, რომ ინგლისური ჩაი საუკეთესოა და ტერასაზე ნაშუადღევს ტრადიციული ჩაის მირთმევაც სასარგებლოა ჯანმრთელობისთვის. გააგრძელებს ლემანი ამ ტრადიციას? შეეცდება, „არსენალის“ სათადარიგოთა სკამზე ჯდომით მეტი ფული გამოიმუშავოს, ვიდრე „დორტმუნდის“ კარში დგომით?

— ლემანი? არავითარ შემთხვევაში. ჩემთვის ფული მთავარი არასდროს ყოფილა, უბრალოდ აღმოვაჩინე, რომ ხუთი თვით „ბორუსიაში“ გადასვლა უსარგებლო და მძიმე იქნებოდა არა მხოლოდ ჩემთვის, არამედ ჩემი მეუღლისა და სამი შვილისთვის.

— რატომ?

— არ მსურდა, ასე მოკლე დროით ბავშვებისთვის სკოლა შემეცვალა.

— და მარტო რატომ არ წახვედით დორტმუნდში?

— ჩემმა ცოლმა კონიმ მითხრა: გასულ ზაფხულს მე მინდოდა გერმანიაში წასვლა, შენი კი — არა და ახლა შენ გინდა წახვიდე და სამი შვილით ამ უცხო ქვეყანაში მარტო დამტოვო? მე, რა თქმა უნდა, ამის გაკეთება არ შემეძლო.

— რატომ?

— ბავშვებზე ზრუნვა, მათი სკოლაში წაყვანა განაწილებული გვაქვს, ისეთ დიდ ქალაქში კი, როგორიც ლონდონია, გზა ძალიან გრძელი და დამქანცველია. ბავშვებსაც არ სურდათ სკოლის დატოვება. ცხადია, რომ ყოველთვის მხოლოდ საკუთარ თავზე ვერ იფიქრებ და იმას ვერ გაკეთებ, რაც შენ გსურს. როცა ოჯახი გყავს, მისი წევრების სურვილების გათვალისწინებაც გიწევს.

— სხვა მამები მიზეზად შვილების სურვილებს იშვიათად ასახელებენ...

— ჰკითხეთ იმ მამებს, რა ძალისხმევას მოითხოვს ოჯახური ცხოვრება. ჩემმა მდგომარეობამ გერმანიის ნაკრების ყოფილი მეკარე ტონი შუმახერი გამახსენა: როცა მიუხენში ცოტა ხნით მარტო წავიდა და შინ სხვა ქალთან ერთად დაბრუნდა. ჩემმა შვილებმა მთხოვეს, მამა, აქ დარჩო და როცა ბავშვები ამას გეტყვიან, ძნელია უარის თქმა.

— ანუ თქვენთვის ოჯახური ბედნიერება უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ფეხბურთი?

— ბავშვებმა არ უნდა აგონ პასუხი იმაზე, რომ მათმა მამამ სეზონის დასაწყისში ორი შეცდომა დაუშვა და ახლა სკამზე ზის. თავის დაზღვევამაც დიდი როლი შეასრულა. ლონდონში ქურდობა ძალიან ხშირია, რის მხვერპლნიც სამი წლის წინ თავად გავხდით. ქურდები სახლში მაშინ შემოვიდნენ, როცა ყველა შინ ვიყავით და გვეძინა. მოიპარეს მანქანის გასაღები და მანქანა. ლონდონი არაა წმინდა ქალაქი, სწორედ ამიტომ არ მსურს ოჯახის აქ მარტო დატოვება.

— იოახიმ ლიოვისთვის ძალიან სასურველი და მნიშვნელოვანი იქნებოდა, რომ დორტმუნდში გადასულიყავით და მუდმივად გეთამაშათ...

— მუდმივად თამაში აქაც შეიძლება, როცა „არსენალის“ კარში კვლავ ჩავდგები.

— ოჰო! რაღაც გამოვტოვეთ?

— მართალია, ვფიქრობ, რომ ჩემი მწვრთნელი არსენ ვენგერი ჯერ არ ჩქარობს მოედანზე ჩემს შეშვებას. თუმცა თავს არ ვაძლევ უფლებას, რომ საკუთარი შანსის არ მჯეროდეს.

— გამორიცხავთ სატრანსფერო პრეიოდის დასრულებამდე რომელიმე სხვა, თუნდაც ინგლისურ კლუბში გადასვლას?

— არა, ეს დაუჯერებლად მეჩვენება. სიამოვნებით ვარ „არსენალშიც“ და ლონდონშიც. მხოლოდ ის მაწუხებს, რომ ამჟამად ვერ ვთამაშობ. მხოლოდ ამ საკითხში ვერ ვთანხმდებით მე და ვენგერი. ეს, ალბთ, დღეს ან ხვალ შეიცვლება კიდეც...

— რაც შეეხება გერმანიის ეროვნულ ნაკრებს: ოლივერ კანს სარისკოდ მიაჩნია, რომ ევროპის ჩემპიონატზე თქვენ იყოთ პირველი ნომერი, რადგანაც სათამაშო პრაქტიკა არ გავქთ...

— კანს რაღაცაში მეც ვეთანხმები, მისი არგუმენტები დამაჯერებლად ჟღერს. თუმცა, ვარჯიშშიც საკმაო პრაქტიკას ვაგროვებ.

— კანს ამართლებთ? ეს მოულოდნელი სიახლეა!

— მე და კანს ყოველთვის განსხვავებული აზრი არ გვაქვს. რა თქმა უნდა, სათამაშო პრაქტიკას დიდი მნიშვნელობა აქვს. ვფიქრობ, რომ ეროვნულ ნაკრებშიც და ინგლისის თასის გათამაშებაშიც ევროპის ჩემპიონატამდე ათ მატჩში მაინც ვითამაშებ, ან უფრო მეტშიც. ვიმედოვნებ, რომ ავსტრია-შვეიცარიაში ძალიან კარგ ფორმაში ვიქნები.

— ამის შემდეგ კი ალბათ მიუნხენში გადახვალთ...

— დაზუსტებით ჯერ ვერ გეტყვით. შესაძლოა, 2008 წლის ივლისში სულ სხვაგან აღმოვჩნდე.

— ანდა, იურგენ კლინსმანი წაგიყვანთ „ბაიერნში“?

— „ბაიერნმა“ დიდი ნაბიჯი გადადგა, როცა იურგენ კლინსმანი მიიწვია და გვიჩვენა, რომ ახალი იდეებისთვის კარი ღია აქვს.

— კარიერის დასრულება? რამდენად დიდია ამის შანსი?

— 50 პროცენტი. ეს შემოთავაზებებზეა დამოკიდებული. ძალიან მსურს, კიდევ ვითამაშო ბუნდესლიგაში, ლონდონშიც პირველად ბუნდესლიგის შედეგებს ვათვალიერებ ხოლმე. ინგლისში კი ჩემთვის მხოლოდ მეტოქეების — „ჩელსის“, „მანჩესტერისა“ და „ლივერპულის“ შედეგებია მნიშვნელოვანი.

— და თქვენი ცხოვნება ფეხბურთის შემდეგ?

— ალბათ, მსაჯობის მოწმობას ავიღებ და ჩემს ეკონომიკურ განათლებასაც განვაახლებ. შემიძლია, მენეჯმენტის განხრით ვიმუშაო, ან ტელევიზიაში. ჯერ მინდა გავერკვიო, რისი კეთება მომანიჭებს სიამოვნებას.

— ოლივერ კანის გამოსამშვიდობებელ თამაშზე მიხვალთ?

— რა თქმა უნდა, თუ დამპატიჟებს.

კლაუს ალოფსი: ვერდერი დიდ მიზნებს ისახავს

კიდევ ერთი ფეხბურთელი გადადის ბრემენიდან იზარის (მდინარე მიუნხენში) ნაპირებზე სათამაშოდ. ტიმ ბოროვსკი „ვერდერს“ „ბაიერნზე“ გაცვლის. ამ ცვლილებებსა და შესაძლო ახალ ფეხბურთელებზე „ვერდერის“ სპორტული დირექტორი კლაუს ალოფსი „კიკერთან“ საუბრობს

— გარეგნულად არცთუ მშვიდად მიიღეთ ტიმ ბოროვსკის მიერ თქვენი კლუბის დატოვება და მაინც, რა გრძნობა იმალება ყოველივეს უკან?

— ძალიან ბედნიერები ვიქნებოდით, ტიმი რომ დარჩენილიყო. თუმცა ასევე ნათელი იყო, რომ მისთვის ძალიან მნიშვნელოვნია ბრემენიდან ისეთ ძლიერ გუნდში გადასვლა, როგორიც „ბაიერნია“.

— ანუ ეს ნიშნავს, რომ „ვერდერს“ მის შესანარჩუნებლად არ უბრძოლია?

— მას წინადადებით მივმართეთ, ამის შემდეგ კი აღარ გვისაუბრია, რადგანაც ამ შეთავაზებაზე არც მისგან და არც მისი მრჩევლებისგან პასუხი არ მიგვიღია.

— ამბობენ, ბოროვსკის ჰანოვერელი იან როზენდალი შეცვლისო...

— ამაზე საუბრისგან თავს შევიკავებ.

— რას მიიღებთ საპასუხოდ მიუნხელენებისგან? ისიც ითქვა, შეაძლოა, „ვერდერში“ ბოროვსკი ბასტიან შვაინშტაიგერმა შეცვალოსო...

— ამას ვერ გამოვრიცხავ. ჩვენი მიზანი არაა, ახალი ფეხბურთელი მაინცდამაინც მიუნხენიდან იყოს, აქ მნიშვნელობა ნამდვილად არ აქვს, ვინ საიდან მოდის. როგორც ვიცი, დასახელებულ ფეხბურთელს კონტრაქტი ჯერჯერობით არ ეწერება.

— ხომ არ შიშობთ, რომ ზაფხულში ბევრი კლუბი ეცდება ლეგოს ხელში ჩაგდებას?

— არა, პირიქით, ეს გამახარებს კიდეც, რადგან ეს იმის ნიშანი იქნება, რომ მან ძალიან კარგად ითამაშა ეს წრე. ჩვენ მასთან კონტრაქტი 2011 წლამდე გვაქვს.

— კარლოს ალბერტოც დარჩება?

— თუ ყველაფერმა კარგად ჩაიარა, მას ნახევარი წლით „სან პაულუ“ ინათხოვრებს და დიდი იმედი გვაქვს, რომ გაძლიერებული დაგვიბრუნდება. მას ძალიან დიდი პოტენციალი აქვს.

— ული ჰიონესმა „ვერდერი“ შეაქო და თქვა, რომ თქვენთან „ბაიერნისთვის“ საინტერესო მოთამაშეები იზრდებიან...

— ეს ძალიან მახარებს. რა თქმა უნდა, კარგია, როცა ჩვენგან ფეხბურთელები ტოპ-კლუბებში მიდიან. ეს იმის ნიშანია, რომ ბრემენში გადმოსვლა თითოეული მოთამაშის პროფესიულად გაზრდას უწყობს ხელს. ეს, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს, რომ ჩვენ აღმზრდელ კლუბად წარმოგვიდგენია თავი. უბრალოდ, რეალისტები ვართ და ვხედებით, რომ ფინანსურად ძალიან შორს ვართ გრანდებისგან, თუმცა, სპორტული თვალსაზრისით, მათ არაფრით ჩამოვუვარდებით.

— არ გთრგუნავთ ის ფაქტი, რომ მუდმივად გუნდის ჩამოყალიბების პროცესში ხართ და მერე მოდის ბობოლა კლუბი, რომელიც მოთამაშეებს გადაიბირებს და თქვენ კვლავ „მეორე ვიოლინოს“ როლით გიწევთ დაკმაყოფილება?

— ეს ხომ ბაზრის კანონებია. ბრემენი ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ კარგი გუნდი შექმნას და დიდი ხნითაც შეინარჩუნოს, ხოლო თუ ვინმე წავა, მაშინ მალევე მოუძებნოს შემცვლელი.

— მიზნად რა, ჩემპიონთა ლიგაში ვერმოხვედრა დაისახეთ?

— კარგად ვიცით, რომ იქ ჯერჯერობით თამაშგარე ვართ, თუმცა წელს ვერც „ბაიერნი“ მოხვდა ლიგაში. ბრემენის პოტენციალსა და მისწრაფებებს კი უკვე მომავალ წლებში ნახავთ.

— და მაინც, არასოდეს გქონიათ სურვილი, რომ თუნდაც „ბაიერნის“ დონის ყოფილიყავით და დიდ ფეხბურთში საკუთარი სიტყვა გეთქვათ?

— ჩემი კონტრაქტი 2009 წლამდე გრძელდება. „ვერდერს“ დიდი მიზნები აქვს დასახული. თუმცა ამჟამად ჩემს თავში ვერანაირ სურვილს ვერ ვპოულობ რაიმე ახლის დასაწყებად.

გამიტანეთ და თავი დამანებეთ!

ვალიადოლიდი რეკორდებთან მეგობრობს

ხოსეა ლიორენტემ 7 წამში გაიტანა

ზედიზედ ექვს მატჩში გოლგაუშვებელმა იკერ კასილიასმა „ატლეტიკოსთან“ მატჩის შემდეგ თქვა, რომ „სიმშრალე“ მოსწყინდა: „გულახდილად გეტყვით, უკვე მომბეზრდა ამაზე საუბარი. მინდა, რომ ვინმემ გამიტანოს. „მშრალი“ სერია მხოლოდ ჩემი კი არა, მთელი გუნდის დამსახურებაა“.

„ატლეტიკოს“ „რეალი“ 1999 წლის შემდეგ არ დაუმარცხებია და ნავსი ვერც ამჯერად გატეხა. ბერნდ შუსტერის გუნდმა დერბი მოიგო და მდევარ „ბარსელონასთან“ შვიდქულიანი სხვაობა შეინარჩუნა. ამის თაობაზე კი კასილიასმა განაცხადა: „ვიცი, რომ ბოლმრთ სკდებიან ისინი, ვინც მადრიდულ დერბიში ქულების დაკარგვას გვიწინასწარმეტყველებდა“. აღსანიშნავია, რომ „რეალმა“ ამ სეზონში სამივე მდევარს („ბარსას“, „ვილიარეალს“ და „ატლეტიკოს“) სტუმრად ისე მოუგო, რომ გოლი არ გაუშვია.

რეალელთა მთავარმა კონკურენტმა „ბარსელონამ“ „რასინგთან“ მატჩი „ბავშვებით“ დაიწყო, რაკი ძირითად შემადგენლობაში იყვნენ ბოიან კრკიჩი და ჯოვანი. რონალდინიოსა და მესის (მეორე ტაიმის 66-ე წუთზე შევიდა) გარეშეც არ გასჭირვებიათ მასპინძლებს მომენტების შექმნა, მაგრამ მხოლოდ ერთი გამოიყენეს. კუთხურიდან ჩაწოდებული ბურთი რასინგელმა მცველმა საკუთარი კარისკენ მოიგერია და ანრიმ ისე ახლოდან გაიტანა, ლამის თავი შეყო კარში. „ფრანკ რაიკარდი ნამატჩევს კმაყოფილი იყო შედეგით, მაგრამ იმის გამო წუხდა, რომ მეორე გოლი ვერ გაიტანეს. „როცა ანგარიში 1:0-ია, ფიქრობ, რომ ნებისმიერ მომენტში მეტოქემ შეიძლება გაათანაბროს და ეს მაღელვებდა. ბიჭებმა პირველი ტაიმის შემდეგ იცოდნენ „რეალის“ გამარჯვების ამბავი, მაგრამ ამან დამთრგუნველად არ უნდა იმოქმედოს. მდევრის როლში და რთულ ვითარებაში ვართ და ამიტომ ყველა მატჩი უნდა მოვიგოთ“.

პირველ ტაიმში იყო მომენტი, როცა „ბარსამ“ ტემპი დაკარგა, რასაც ტრიბუნიდან სტვენა მოჰყვა. ასევე უსტვინეს პირადად ჯოვანის, რაზეც რაიკარდმა უპასუხა: „დიდებული ქმაგები გვყავს. ისინი ლამაზი ფეხბურთით უნდა გავახაროთ და რეაქციაც შესაბამისი ეჭნებათ. მესმის, რომ პირველ ტაიმში ზანტად ვთამაშობდით, მაგრამ მეტოქე გასაქანს არ გვაძლევდა. იძულებულნი გავხდით, შეცდომაზე დაგვეჭირა, შესვენების შემდეგ კი მეორე გოლი გვსურდა და ამიტომაც უფრო სწრაფად ავთამაშდით. რაც შეეხება ჯოვანის, გულშემატკივრისგან ასეთი რეაქციისთვის ნებისმიერი ფეხბურთელი მზად უნდა იყოს“.

ბოიან კრკიჩი: „ვფიქრობ, მთავარია სამი ქულა და ის, რომ სამი ტურნირის მოსაგებად კვლავაც ვიბრძვით. ჩვენს ვითარებაში შედეგი უმნიშვნელოვანესია, ქომაგი ცოტას თუ მოითმენს, ლამაზი ფეხბურთიც მოვა“.

ამასობაში კი „ვალიადოლიდმა“ მეშვიდე ადგილს უწია. სეგუნდა დივიზიონიდან აღზევებული გუნდისგან ასეთ აღმასვლას არ ელოდნენ, მაგრამ ხოსე ლუის მენდილიბარის შეგირდები ფორვარდ ლიორენტეს „თამადობით“ მაღლა-მაღლა მიდიან. „ვალიადოლიდის“ 29 გოლიდან ლიორენტემ 11 გაიტანა. ამჯერად „ესპანიოლთან“ დუბლი შეასრულა და კატალონიურ კლუბს ზედიზედ მეორე მარცხი აგება. „ესპანიოლს“ ნოემბერ-დეკემბერი კარგი ჰქონდა, მაგრამ ახლა დაღლა დაეტყო, წინა ტურში „ალმერიასთან“ 0:1 წააგო და ახლა „ვალიადოლიდთანაც“ უქულოდ დარჩა.

კვლავ უკან-უკან მიდის „ვალენსიას“ საქმე. რონალდ კუმანის „ალმურებმა“ პრიმერადივიზიონში მიჯრით მეცხრე მატჩი ვერ მოიგეს. შაბათს „ვალენსიას“ „ჯილბერტოთან“ არ დაინდო და ოსტრავა ანგარიით მოუგო, როგორც პირველ ტურში — 3:0.

„სარაგოსას“, „ალმურებისგან“ განსხვავებით, მწვრთნელის შეცვლამ არგო. ანდერ გარიტანოს ხელში გუნდმა შუა კვირაში სათასო მატჩშიც იმარჯვა და ამჯერად კი ჩემპიონატში „მურსიას“ სძლია — დიეგო მილიტომ დუბლი მითვალა და სევილიელ ლუიშ ფაბიანოსთან ერთად პრიმერას მთავარმეგოლეა.

ლუიშ ფაბიანომ „სევილია“ „ხეტაფესთან“ სტუმრად დააწინაურა, მაგრამ ხუთგოლიან მატჩში დამარცხდა ბოლო წუთზე გაშვებულით. ზედიზედ ორჯერ უეფას თასის მომგები გუნდი ამ სეზონში სტაბილური ვეღარაა, რადგან ევრომატჩებმა არაქათი გამოაცალა.

გუშინდელ მიმოხილვაშიც გვეწერა, რომ „ვალიადოლიდის“ ფორვარდი ხოსება ლიორენტე პრიმერადივიზიონის ისტორიაში უსწრაფესი გოლის ავტორი გახდა, რაკი „ესპანიოლს“ მეშვიდე წამზე გაუტანა, დღეს კი დავამატებთ, რომ მანამდე რეკორდი ურუგვაელ დარიო სილვას ეკუთვნოდა. „მალაგას“ ფორვარდმა 2000 წლის დეკემბერში მერვე წამზე შეაგდო... „ვალიადოლიდის“ კარში. „ვალიადოლიდი“ სხვა რეკორდულ ამბავშიცაა გარეული. 2001-ის მარტში „სელტასთან“ მატჩში ამგუნდის სასარგებლოდ პენალტი მე-13 წამზე დანიშნეს, რომელიც ფერნანდო ფერნანდესმა გაიტანა.

ვაჟა ხუციშვილი

უადგილოს ადგილი ლიონშია

„იუვენტუსის“ ფრანგი მცველი ჟან-ალენ ბუმსონგი, შესაძლოა, „ლიონში“ გადავიდეს. სერია B-ში ყოფნისას ბუმსონი „იუვეს“ ძირითად შემადგენლობაში თამაშობდა, მაგრამ ამ სეზონში სათადარიგოდ იქცა. მართალია, ამაში ტრავმაც „დაეხმარა“, მაგრამ გამოჯანმრთელების შემდეგ კლაუდიო რანიერი გუნდში მის ადგილს ვეღარ ხედავს. „გარიგება ალბათ კვირის ბოლომდე შედგება“ — თქვა „ლიონის“ პრეზიდენტმა ჟან-მიშელ ოლამ — ამჟამად მოლაპარაკება მიმდინარეობს და „იუვეს“ შეფებთან ალბათ პრობლემა არ შეგვექმნება.

ლუპოლიმ სურათი დაიწუნა

„ფიორენტინამ“ ახალგაზრდა ფორვარდი არტურო ლუპოლი სერია B-ს „ტრევიზოში“ გაანათხოვრა, ბიჭმა კი დაიჩივლა, რომ „იებში“ ცოტას ათამაშებდნენ. „პარმას“ აღზრდილი ლუპოლი შარშან ზაფხულამდე ლონდონის „არსენალში“ იყო. „მეთოფეებთან“ კონტრაქტი დაუმთავრდა და „ფიორენტინამ“ მუქთად ჩაიგდო ხელში, მაგრამ სათადარიგოთა სკამზე დასვა. „აქ იმ იმედით ჩამოვედი, რომ მეტი სათამაშო პრაქტიკა მექნებოდა, მაგრამ სულ სხვა სურათი დამხვდა. ამბიციური ვარ და ამიტომაც ვთხოვე გუნდის გამოცვლა“ — თქვა 20 წლის მეგოლემ.

ნევლანდის 43

„ფულემმა“ ნორვეგიელი ფორვარდის ერიკ ნევლანდის შეძენა დააპირა. 30 წლის ფეხბურთელი ამჟამად „გრონინგენშია“, სადაც სამწელიწადნახევარი გაატარა. 92 მატჩში ნევლანდმა 43 გოლი გაიტანა და სწორედ ასეთი მეგოლე სჭირდება „ფულემს“, რომელიც პრემიერლიგიდან გავარდნის პირასაა. ფულემელთა მწვრთნელი როი ჰოჯსონი კარგად იცნობს, რაკი „ვიკინგში“ უმუშავია, სადაც ნევლანდი თამაშობდა. ნორვეგიელი, სავარაუდოდ, ორწელიწადნახევრიან კონტრაქტს გააფორმებს.

ჟილბერტოს მამალი ეპატიჟება

ბერლინის „ჰერტას“ ნახევარმცველი ჟილბერტოს ყიდვა „ტოტენჰემს“ უნდა. 31 წლის ბრაზილიელს მარცხენა მცველად თამაშიც შეუძლია. ჟილბერტო ბუნდესლიგურ კლუბში 2004 წლიდანაა, მანამდე კი ბრაზილიაში იყო და ცოტა ხანი (1999-2000) მილანის „ინტერშიც“ გაატარა. მან მსოფლიოს შარშანდელ ჩემპიონატში ითამაშა და იაპონიასთან გოლიც გაიტანა.

ვაჟა ხუციშვილი

განსაკუთრებული არაფერი ხდება

ცხრა ყვითელი ბარათით და „რეალის“ გამარჯვებით დასრულდა სეზონის მეორე მადრიდული დერბი. ბერნდ შუსტერმა ხავიერ აგირეს პირველ წრეში შინ 2:1 მოუგო და სტუმრადაც აჯობა. მიუხედავად იმისა, რომ „რეალმა“ ორი გოლი შესვენებამდე შეაგდო, გერმანელმა მწვრთნელმა ნამატჩევს ინტერვიუში თქვა, რომ მისმა გუნდმა მეორე ტაიმში უკეთ ითამაშა

„ატლეტიკო“ სერხემალში რაულის ადრეულმა გოლმა გატეხა

— რამ განაპირობა გამარჯვება?

— ალბათ სწრაფმა გოლმა. მთელი მატჩი წინ იყო, მაგრამ მეტოქე გაშვებულმა გოლმა არია და უპირატესობა ხელში ჩავიგდეთ. „მალიორკასთან“ წაგებული სათასო მატჩისგან განსხვავებით, მოწინააღმდეგეის შეცდომებით ვისარგებლეთ და შესვენებამდე ორივე მომენტი გამოვიყენეთ.

— გუნდმა განსაკუთრებულად იზეიმა ეს მოგება?

— განსაკუთრებული არაფერი მომხდარა. მორიგი გამარჯვებაა.

— იღბალიც თქვენკენ იყო?

— იღბალი არაფერ შუაშია. შესვენებამდე დაშავებული პეპეს შეცვლის შემდეგ, მასპინძლებმა მაგრად შემოგვიტიეს, მაგრამ მეორე ტაიმში თითქმის უშეცდომოდ ვითამაშეთ. „ატლეტიკოს“ ერთი მომენტიც არ შეუქმნია, ჩვენ კი მესამის გატანაც შეგვეძლო.

— ასეთ იოლ მოგებას ელოდით?

— ასეთი მატჩები იოლი არასოდესაა.

— „ატლეტიკო“ საჩემპიონო რბოლას გამოეთიშა?

— 13 ქულით ვუსწრებთ, მაგრამ მეორე წრე ახლა დაიწყო და არაფერს გამოვრიცხავ. დაზუსტებით შემიძლია იმის თქმა, რომ ერთ-ერთ კონკურენტთან სხვაობა გავზარდეთ.

— რა მოგეწონათ თქვენს გუნდში განსაკუთრებულად?

— მსგავს პრინციპულ მატჩებში „რეალი“ ერთ მუშტადაა შეკრული. ფეხბურთელების უმაღლესი კლასის მიუხედავად, გულიანი გარჯის გარეშე არაფერი გამოვა. ჩვენი კონკურენტებისგან სწორედ იმით განვსხვავდებით.

— „რეალმა“ ყველა კონკურენტთან საუკეთესოდ ითამაშა...

— ასეა, მაგრამ მხოლოდ მათთან მოგება არ კმარა. ყველა მეტოქეს უნდა ვძლიოთ. ნებისმიერი ესპანური გუნდი, რომელიც ჩემპიონი გამხდარა, შედარებით სუსტ მოწინააღმდეგეებთან უფრო მეტ ქულას აგროვებდა. სწორედ ესაა გადამწყვეტი ჩემპიონატის ბოლოს.

კალაჩის და პენალტების ტური



ავსტრალიელი მეკარე ჟელკო კალაჩი „მილანის“ ძირითადში მიჯრით რამდენიმე მატჩის თამაშს კი არა, ტურის საუკეთესო მოთამაშედ დასახელებასაც მოესწრო. დანარჩენს უფრო დაწვრილებით სერია A-ს მე-19 ტურთან დაკავშირებით, channel4.com-ის ჩანახატიდან შეიტყობთ

ბიოლეკ ჯიმენეზი

გამარჯვებულები

ჟელკო კალაჩი (მილანი) — ნელსონ დიდას ტრავმის გამო მას კიდევ ერთხელ მიეცა თავის გამოჩენის შანსი და ვინ იცის, ეგებ საერთოდ ამოაგდოს ძირითადი შემადგენლობიდან ბოლო დროს არადამაჯერებლად მოთამაშე ბრაზილიელი. კალაჩმა მძლავრი შეტევის მქონე „უდინეზესთან“ ბრწყინვალედ ითამაშა და რამდენჯერმე იხსნა „მილანი“. ეს ისეთივე მნიშვნელოვანი გახლდათ, როგორც ალეშანდრე პატო — კაკას მშვენიერი კომბინაციის შემდეგ გატანილი ალბერტო ჯილარდინოს გვიანი გამარჯვების გოლი.

კრისტიან სპატა (უდინეზე) — მას „იუვენტუსსა“ და სხვა გრანდებს ტყუილად არ უკავშირებენ. სერია A-ში ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული მცველი კვლავ ბრწყინვალე იყო. მან პატო ციდან დედამიწაზე დააბრუნა და „როსონერის“ ნორჩ ვარსკვლავს აჩვენა, თუ რა ძნელია იტალიის ჩემპიონატში თამაში. კვირას საპატას არ დაუმსახურებია წაგებული გუნდის რიგებში ყოფნა.

მარეკ ჰამშიკი (ნაპოლი) — ტექნიკური თვალსაზრისით, „ვეზუვიანისა“ და მთელი სერია A-ს ერთ-ერთი ყველაზე ნიჭიერი ახალგაზრდა ფეხბურთელი „ლაციოსთან“ ფრედ 2:2 ნათამაშებ მატჩში ჩინებული იყო. სლოვაკმა ჯერ დააწინაურა „ნაპოლი“, ბოლო წამებზე კი გამთანაბრებელი გოლი შეაგდო.

დამარცხებულები

ჰასან სალიჰამიჯიჩი (იუვენტუსი) — მან „სამპდორიასთან“ ისე უსუსურად ითამაშა, რომ იმედი გაუცრუა მწვრთნელს, კლუბსა და თავის თავსაც. ცენტრალურ ნახევარმცველად მისი დაყენება კლაუდიო რანიერის მხრიდან სასოწარქვეთილი კაცის ნაბიჯს ჰგავდა. „ბრაცო“. ამ პოზიციაზე ისე იყო, როგორც თევზი ხმელეთზე. რა ცუდად უნდა გამოიყურებოდნენ ტიაგუ მენდეში და სერხიო ალმირონი, რომ სალიჰამიჯიჩი საყრდენ ნახევარმცველად ათამაშო?

კრისტიან ობოდო (უდინეზე) — მატჩის დასრულებამდე წამებია დარჩენილი, შენი გუნდი „მილანს“ 0:0-ს ეთამაშება და ამ დროს ბურთს საკუთარი საჯარიმოს მისადგომებთან იღებ. რას იზამ? ალბათ თავისუფალ თანაგუნდელს გადააწოდებ ბურთს ან შორს მოიგერიებ, არა? უდინელთათვის სამწუხაროდ, ობოდოს სწორედ იმ მომენტში მოუნდა დრიბლინგში თავის გამოცდა, მან ბურთი დაკარგა და „როსონერიმ“ გოლი გაიტანა.

ედი რეხა (ნაპოლი) — იტალიის თასიდან კრიზისში მყოფი „ლაციოს“ მიერ გამოგდებულმა ნეაპოლელებმა რომაელებს, კვლავ შინ, სერია A-შიც ვერ მოუგეს. მეტიც, ბოლო წამსღა გადაარჩინეს ქულა. მატჩის შემდეგ „ვეზუვიანის“ მწვრთნელს კლუბის პრეზიდენტ აურელიო დე ლაურენტისთან საჯაროდაც კი მოუვიდა მცირე შელაპარაკება. ასე რომ, შესაძლოა, რეხა მალე მოხსნან, მაგრამ თავად ამბობს, რომ უახლოეს მომავალში მსგავსი არაფერი მოხდება.

გოლები

კრისტიან ლედესმა (ლაციო) — თუ ეს ბიჭი შორიდან ურტყამს, არ გაგიკვირდეთ, რომ გოლი გავიდეს, ამას უკვე მივეჩვიეთ. არგენტინელმა თავის კოლექციას კიდევ ერთი, შორეული გასროლით გატანილი გოლი შემატა. როცა მას ბურთი მიუგორდა, დიდხანს არ უფიქრია, და დაახლოებით 25 მეტრიდან მშვენივრად გაისროლა.

ანდრეა გასპარონი (პარმა) — იგი პერიოდულად გვახსენებს ხოლმე, თუ რამდენად კარგი ფეხბურთელი შეიძლებოდა დამდგარიყო. „იუვენტუსის“ ახალგაზრდული გუნდის აღზრდილმა მახვილი კუთხიდან საჯარიმო დარტყმით ბურთი მოულოდნელად ჟულიო სეზარის კარის ახლო ცხრიანში ძლიერად და ზუსტად გაგზავნა.

ზლატან იბრაჰიმოვიჩი (ინტერი) — ერთი შეხედვით, „პარმას“ კარში იბრას გამარჯვების გოლი არცთუ განსაკუთრებული იყო, მაგრამ თუ კარგად დავაკვირდებით... ბოლო წამებზე ხულიო კრუსის ჩაწოდებული შვედმა მშვიდად და თავდაჯერებულად მიიღო მკერდზე და ახლოდან მძლავრი დარტყმით „გახვრიტა“ ლუკა ბუჩი.

რიცხვები

პენალტების ტური: მე-19 ტურში მიმდინარე სეზონში ყველაზე მეტი — 8 პენალტი დაინიშნა. აქედან შვიდი გაიტანეს კრისტიან ვიერიმ, ადრიან მუტუმ, კრისტიანო დონიმ, ზლატან იბრაჰიმოვიჩმა, ფრანჩესკო ტავანომ, დანიელე დე როსიმ და ფაბრიციო მიკოლიმ. ამ უკანასკნელმა „სიენასთან“ მატჩში პირველი პენალტი ხარიხას გაარტყა.

ვიერის 200: „ფიორენტინას“ ვეტერანმა ფორვარდმა კრისტიან ვიერიმ „ტორინოსთან“ შეხვედრაში მეორასე გოლი შეაგდო იტალიური გუნდის მაისურით. მისი სხვა იტალიური კლუბები იყვნენ: „ტორინო“, „პიზა“, „რავენა“, „ვენეცია“, „ატალანტა“, „იუვენტუსი“, „ლაციო“, „ინტერი“ და „მილანი“.

„მილანის“ უდინე: „როსონერისთვის“ „უდინეზე“ ერთ-ერთ ყველაზე მარტივ მეტოქედ კვლავაც რჩება, თან „სტადიო ფრიულიზე“. უკვე სამი სეზონია, „მილანი“ იქ იგებს (1:0, 3:0, 4:0). სამივე ამ მატჩში ალბერტო ჯილარდინოს გოლი გაქვს.

გიორგი კაკაბაძე

ინტერი წაგებულ თამაშებსაც იგებს

კვირას „ინტერმა“ სეზონში უცუდესი მატჩი ჩაატარა და დიდი პაუზის შემდეგ სერია A-ში პირველ მარცხთან ძალიან ახლოს იყო. თუმცა გუნდის ლიდერმა ზლატან იბრაჰიმოვიჩმა 88-ე წუთზე უაღრესად საკამათო ვითარებაში დანიშნული პენალტი გაიტანა, ხოლო ბოლო წამებზე გამარჯვება მოუტანა „ნერაძურის“.

„პარმამ“, რომელმაც მეტოქეს მართლა არაფერი დაუთმო და სულ მცირე, ქულას მაინც იმსახურებდა, მესამე გოლი მაშინ გაუშვა, როცა 9 კაცით იყო მინდორზე დარჩენილი. 88-ე წუთზე ფერნანდო კოუტუ გააძევეს პენალტის დანიშვნასთან ერთად და მალევე დაშავდა დანიელი დესენა, ვინაც თამაშის გაგრძელება ვეღარ შეძლო. დომენიკო დი კარლოს იმ წუთისთვის სამივე შეცვლა გაკეთებული ჰქონდა...

რობერტო მანჩინისთვის ეს მეორასე მატჩი გახლდათ „ინტერის“ თავკაცის რანგში. იგი ხუმრობდა კიდეც, ეს უკვე საოცრებააო. შეგახსენებთ, რომ ბოლო წლებში კლუბი მწვრთნელებს ხელთათმანივით იცვლიდა.

„ცუდად ვითამაშეთ, თან მეტოქეც საკმაოდ ძლიერი გვყავდა, „პარმამ“ ქულა ნამდვილად დაიმსახურა. რაც შეეხება პენალტის ეპიზოდს, ვფიქრობ, ბურთი კოუტუს ჯერ თავზე მოხვდა, მერე კი შემთხვევით ხელზე. სამწუხაროდ, ეს მას თერმეტმეტრიანად და წითელ ბარათად დაუჯდა, მაგრამ ეს არის სპორტი. ვიმეორებ, რომ ბევრი ხარვეზი გვქონდა და „პარმას“ წაგება არ დაუმსახურებია. თუმცა ნურც იმას დავივიწყებთ, რომ ტრავმის გამო რამდენიმე ფეხბურთელი გვაკლდა. ამიტომ მანიშეს დებიუტი ნაადრევად შედგა, რამაც არ გაამართლა. მას ადაპტაცია სჭირდება და აქამდე ერთი თვე არ ჰქონდა ნათამაშები. რაც შეეხება ამ პოსტზე ჩემს მეორასე ოფიციალურ მატჩს, ძალიან მახარებს, რომ კლუბს ამდენი ხნით შემოვრჩი და იმედია, კიდევ დიდი დროით გავაგრძელებთ წარმატებულ თანამშრომლობას“ — თქვა მანჩინიმ.

პარმელებმა მხოლოდ ზლატანი ვერ შეაჩერეს

დომენიკო დი კარლო: „პირველ ტაიმში აშკარა პენალტი არ დაგვინიშნეს. სამაგიეროდ, ჩვენს კარში დაინიშნა, ჩემი აზრით, არარსებული თერთმეტმეტრიანი. კოუტუს ხელზე რომც მოხვედროდა ბურთი, წითელი ბარათი სრულიად ზედმეტი იყო. ცოტა ხნის წინ მსაჯების დამნიშვნელი პიერლუიჯი კოლინა შეგვხვდა და გვითხრა, ვითარება გამოსწორდებაო, მაგრამ ფაქტია, მსაჯების უხეში შეცდომები გრძელდება. ყველაფერი დიდი კლუბების სასარგებლოდ წყდება, სამართალი არ არის. ამ მატჩისთვის კარგად მოვემზადეთ და მშვენივრადაც ვითამაშეთ, მაგრამ უქულოდ დავრჩით. ვულოცავ „ნერაძურის“, მაგრამ როგორც ყოველთვის, მილანელებმა დაუხმარებლად ვერ მოიგეს“.

„მაქსიმალურად ვეცადე ბურთის მოგერიებას და მას მივწვდი კიდეც. მკლავი უნებურად გამოვწიე და ბურთი რომც მომხვედროდა, ცხადია, ეს შემთხვევითობა იქნებოდა. სიმართლე გითხრათ, მგონი, მართლაც ოდნავ შემეხო ხელზე, მაგრამ ეს განზრახ თამაში არ გახლდათ“ — აღნიშნა კოუტუმ.

კოკი კანდელაკი

სარბიელი: კრიკეტი

წარმოგიდგენთ

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		ინგლისი. I ლიგა						
		22 იანვარი						
23:45	2	ბორნმუთი-ლუტონი	2.30	3.30	2.80	1.35	1.26	1.51
23:45	3	ჯილინგემი-ოლდემი	2.35	3.20	2.75	1.35	1.26	1.47
23:45	4	ჰარტლპული-საუთენდი	2.30	3.20	2.80	1.33	1.26	1.49
23:45	5	სუონსი-ქრიუ	1.40	4.00	7.50	1.03	1.17	2.60
23:45	6	მილუოლი-ნოტინგემი	2.65	3.20	2.45	1.44	1.27	1.38
		ინგლისი. II ლიგა						
		22 იანვარი						
23:45	21	ბერი-ბრედფორდი	2.45	3.20	2.65	1.38	1.27	1.44
		ინგლისი. კონფერენსი						
		22 იანვარი						
23:45	33	კემბრიჯი-დროილსდენი	1.25	4.80	10.00	1.00	1.11	3.24
		24 იანვარი						
23:45	35	ფარსლი-სტივენეიჯი	5.30	3.60	1.60	2.14	1.22	1.10
		იტალია. სერია A						
		23 იანვარი						
23:30	523	ატალანტა-მილანი	5.30	3.20	1.65	1.99	1.25	1.08
		საფრანგეთი. I დივიზიონი						
		23 იანვარი						
23:00	147	კაენი-ოსერი	1.85	3.10	4.30	1.15	1.29	1.80
23:00	148	ლილი-ლე მანი	2.10	2.90	3.50	1.21	1.31	1.58
21:30	149	ვალენსიენი-ლანსი	1.90	3.00	4.00	1.16	1.28	1.71
23:00	150	ლიონი-ლორიანი	1.35	4.00	9.00	1.00	1.17	2.76
23:00	152	ნანსი-მარსელი	2.30	2.90	3.15	1.28	1.32	1.50
23:00	154	პსჟ-მეცი	1.45	3.60	7.00	1.03	1.20	2.37
23:00	155	რენი-ნიცა	2.15	3.00	3.30	1.25	1.30	1.57
23:00	158	მონაკო-სოშო	1.75	3.20	4.60	1.13	1.26	1.88
23:00	159	სტრასბური-ტულუზი	2.20	2.90	3.40	1.25	1.33	1.56
		ბელგია. I დივიზიონი						
		22 იანვარი						
23:45	98	რუზელარე-ლოკერენი	2.25	3.20	3.00	1.32	1.28	1.54
23:45	99	ვესტერლო-ბრიუგე	4.10	3.40	1.80	1.85	1.25	1.17
		ბელგია. II დივიზიონი						
		23 იანვარი						
23:00	193	ტუბიცე-ნამური	1.70	3.30	4.40	1.12	1.22	1.88
23:00	194	ტურნაი-გეელი	1.50	3.70	5.70	1.06	1.18	2.24
23:00	195	ვაასლენდი-ვირტონი	2.20	3.20	2.90	1.30	1.25	1.52
		ჰოლანდია. I დივიზიონი						
		22 იანვარი						
23:00	196	ტილბურგი-ვიტესი	2.55	3.30	2.50	1.43	1.26	1.42
23:00	197	ჰერაკლესი-ექსელსიორი	2.00	3.30	3.35	1.24	1.25	1.66
23:00	198	ალკმაარი-ბრედა	1.50	3.70	5.50	1.06	1.17	2.21
		23 იანვარი						
23:00	199	ჰერენვენი-ვენლო	1.45	4.00	6.00	1.06	1.16	2.40
22:30	200	აიაქსი-უტრეხტი	1.50	3.70	6.50	1.06	1.21	2.35
23:00	202	პსვ-სპარტა	1.20	5.60	12.00	1.00	1.09	3.81
23:00	204	გრააფსხაპი-როდა	2.85	3.30	2.25	1.52	1.25	1.33
23:00	205	გრონინგენი-ნაიმეგენი	1.45	3.80	6.70	1.04	1.19	2.42
		24 იანვარი						
23:00	206	ფეიენოორდი-ტვენტე	1.90	3.40	3.50	1.21	1.23	1.72
		ჰოლანდია. II დივიზიონი						
		23 იანვარი						
23:00	87	დენ ბოსხი-ვოლენდამი	1.90	3.20	3.55	1.19	1.23	1.68
		თანამეგობრობის თასი.სანკტ პეტერბურგი						
		22 იანვარი						
14:00	505	ოფკ-დორდოი დინამო	1.50	3.50	5.50	1.04	1.17	2.13
16:00	506	კაუნასი-რეგარ ტადაზი	1.12	6.50	11.00	1.00	1.01	4.08
16:00	507	ხაზარი-აკტობე	2.15	3.00	3.00	1.25	1.25	1.50
20:00	508	ზენიტი-ლევადია	2.30	3.00	2.75	1.30	1.25	1.43
20:00	509	შერიფი-აშხაბატი	1.25	5.10	7.50	1.00	1.07	3.03
		შოტლანდია. თასი						
		22 იანვარი						
23:45	88	აბერდინი-ფოლკირკი	1.75	3.20	4.20	1.13	1.23	1.81
23:45	89	ერდრი-კილმარნოკი	5.20	3.50	1.55	2.09	1.19	1.07
23:45	90	ბრეჩინი სიტი-ჰამილტონი აკად	4.10	3.40	1.70	1.85	1.20	1.13
23:45	91	კოვე რეინჯერსი-როს ქაუნთი	5.20	3.50	1.55	2.09	1.19	1.07
23:45	92	მოზერუელი-ჰართსი	2.00	3.20	3.20	1.23	1.23	1.60
23:45	93	პერტიკი ტის-დანფერმლაინი	2.35	3.40	2.50	1.38	1.21	1.44
		23 იანვარი						
23:45	94	რეინჯერსი-ისტ სტირლინგი	1.01	9.00	30.00	1.00	1.00	6.92
23:45	96	გრეტნა-გრენოკ მორტონი	1.45	3.90	5.80	1.05	1.15	2.33
		ესპანეთი. თასი						
		23 იანვარი						
23:00	501	ხეტაფე-მალიორკა	2.15	3.10	3.20	1.26	1.28	1.57
23:45	502	ვალენსია-ატლეტიკო	2.15	3.10	3.20	1.26	1.28	1.57
		24 იანვარი						
23:00	503	რასინგი-ბილბაო	1.85	3.20	4.30	1.17	1.29	1.83
23:00	504	ვილიარეალი-ბარსელონა	2.55	3.10	2.60	1.39	1.28	1.41

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		პორტუგალია. თასი						
		23 იანვარი						
23:45	510	პენაფიელი-სეტუბალი	4.40	3.30	1.70	1.88	1.22	1.12
23:45	511	სპორტინგი-ბეირა მარი	1.15	6.00	12.00	1.00	1.04	4.00
		ინგლისი FA Trophy						
		22 იანვარი						
23:45	75	კიდერმინსტერი-ვეიმუთი	1.75	3.30	3.85	1.14	1.20	1.77
23:45	76	ჰალიფაქსი-ბიშოპი	1.65	3.30	4.70	1.10	1.22	1.93
23:45	77	გრეისი-იორკი	2.25	3.20	2.75	1.32	1.23	1.47
		ჰოკეი. ფინეთი						
		22 იანვარი						
20:30	330	ტაპარა-ილვესი	1.90	4.20	2.50	1.30	1.07	1.56
20:30	331	ესპოო-სეიპა	1.40	4.50	5.00	1.06	1.09	2.36
20:30	332	იოკერიტი-ლუკო	1.50	4.30	4.10	1.11	1.09	2.09
		24 იანვარი						
20:30	333	ჰელსინკი-იოკერიტი	2.20	4.10	2.20	1.43	1.10	1.43
20:30	334	კალპა-კერპეტი	4.00	4.20	1.50	2.04	1.09	1.10
20:30	335	პელიკანსი-ესპოო	2.00	4.10	2.40	1.34	1.09	1.51
20:30	336	ტურკუ-ესეტი	1.55	4.30	3.50	1.13	1.07	1.92
		ჰოკეი. ჩეხეთი						
		22 იანვარი						
20:00	343	კლადნო-ვიტკოვიცე	1.70	4.20	3.10	1.21	1.09	1.78
20:00	344	ბუდეიოვიცე-უსტი	1.20	5.00	6.00	1.00	1.00	2.72
20:00	345	სპარტა-პარდუბიცე	1.75	4.10	3.10	1.22	1.11	1.76
20:00	346	ტრჭინეცი-სლავია	2.30	4.10	2.10	1.47	1.09	1.38
20:00	347	ლიტვინოვი-ზლინი	1.60	4.20	3.30	1.15	1.07	1.84
20:00	348	ზნოიმო-პლზენი	1.90	4.10	2.50	1.29	1.07	1.55
20:00	349	კარლოვი ვარი-ლიბერეცი	2.10	4.10	2.30	1.38	1.09	1.47
		ჰოკეი. შვეიცარია						
		22 იანვარი						
22:30	383	ამბრი-კლოტენი	2.25	4.10	2.10	1.45	1.08	1.38
22:30	384	ბაზელი-დავოსი	3.10	4.20	1.60	1.78	1.05	1.15
22:30	385	ბერნი-ციურიხი	1.45	4.40	4.30	1.09	1.08	2.17
22:30	386	სერვეტი-ფრიბურგი	1.55	4.30	3.50	1.13	1.07	1.92
22:30	387	რაპერსვილი-ლუგანო	2.00	4.20	2.40	1.35	1.09	1.52
22:30	388	ლანგნაუ-ცუგი	2.20	4.10	2.20	1.43	1.10	1.43
		ჰოკეი. რუსეთი						
		23 იანვარი						
16:00	513	ნოვოკუზნეცკი-ამური	1.50	4.20	3.20	1.10	1.02	1.81
16:30	514	ავანგარდი-აკ ბარსი	1.90	4.20	2.20	1.30	1.01	1.44
17:00	515	სიბირი-ვიტიაზი	1.70	4.00	2.70	1.19	1.04	1.61
17:00	516	ტრაქტორი-ს.იულაევი	3.00	4.20	1.55	1.75	1.02	1.13
18:30	517	ლადა-ასკ	2.20	4.20	1.90	1.44	1.01	1.30
20:00	518	ნეფტეხიმიკი-მაგნიტოგორსკი	2.55	4.20	1.70	1.58	1.01	1.21
20:00	519	სევერსტალი-ცსკა	2.00	4.20	2.10	1.35	1.02	1.39
20:00	520	ტორპედო-სპარტაკი მ	1.75	4.20	2.50	1.23	1.02	1.56
20:00	521	ხიმიკი-დინამო	1.70	4.20	2.60	1.21	1.02	1.60
20:00	522	მედ-ლოკომოტივი	2.15	4.20	1.95	1.42	1.02	1.33
		ჩოგბურთი.ქალები. ავსტრალიის ღია ჩემპიონატი						
		22 იანვარი						
12:30	493	ენენი-შარაპოვა	1.40	2.40				
12:30	494	ა რადვანსკა-განტუხოვა	1.80	1.80				
12:30	495	ვ უილიამსი-ივანოვიჩი	1.50	2.20				
		ჩოგბურთი.კაცები. ავსტრალიის ღია ჩემპიონატი						
		22 იანვარი						
14:00	496	იუჟნი-ცონგა	1.35	2.50				
19:00	497	ფედერერი-ჯ. ბლეიკი	1.03	9.00				
		ხელბურთი კაცები.ეჩ.ნორვეგია						
		22 იანვარი						
19:20	498	გერმანია-ისლანდია	1.12	10.00	6.50	1.00	1.00	3.93
21:30	499	საფრანგეთი-ესპანეთი	1.50	9.00	2.60	1.28	1.00	2.01
23:30	500	შვედეთი-უნგრეთი	1.80	9.00	2.05	1.50	1.00	1.66
		ინგლისი. Carling cup						
		22 იანვარი						
23:45	69	ტოტენჰემი-არსენალი	2.30	3.10	2.90	1.32	1.28	1.49
		23 იანვარი						
23:45	70	ევერტონი-ჩელსი	2.85	3.10	2.40	1.48	1.30	1.35
		ინგლისი. FA cup						
		22 იანვარი						
23:45	71	ბარნეტი-სუინდონი	2.65	3.10	2.35	1.42	1.24	1.33
23:45	72	როვერსი-ფულემი	3.70	3.20	1.90	1.71	1.25	1.19
23:45	73	უენსდი-დერბი	2.50	3.20	2.50	1.40	1.25	1.40
		აფრიკის თასი. 2008						
		22 იანვარი						
21:00	82	ეგვიპტე-კამერუნი	3.30	3.20	2.05	1.62	1.26	1.24
23:30	83	სუდანი-ზამბია	3.75	3.20	1.90	1.72	1.26	1.19
		23 იანვარი						
21:00	84	ტუნისი-სენეგალი	2.85	3.10	2.35	1.48	1.28	1.33
23:30	85	სამხრეთ აფრიკა-ანგოლა	2.25	3.20	2.90	1.32	1.26	1.52

შესაძლო ცვლილებები დაბეჭდვის დროს

საქართველოს თასი. 21-24 იანვარი. თბილისი. სპორტის სასახლე



ვითას ცუდი ვითარება

21 იანვარი

ავიამშენი 96:69 დინამო

28:15 21:17 23:19 24:18

ავიამშენი: ტულუში (10 ქულა, 11 მოხსნა), ნიკოლაძე (23), კვიმსაძე (8), მინაშვილი (6), ნინიაშვილი (9); იმნაძე (9), მათიაშვილი (9), სუხიშვილი (12), მოსეშვილი (5), ბერაია (2)

დინამო: ულენტი (23), გულისაბედაშვილი (3), ნაფანაშვილი (18), მაისურაძე (3), ათანელაშვილი (6); ახალკაცი (9), ფაიქრიძე (2), ნანიტაშვილი (2), კუჭავა (2), ნერეთელი (1), სიგუა

მსაჯები: დავით ბერეკაშვილი, გურამ მიქელაძე

კომისარი: როლანდ ხომერიკი

ვითა 42:92 ენერჯი-ინვესტი

6:29 7:21 11:17 18:25

ვითა: მარხვაშვილი (4), ნ. ნოზაძე (14), მეფანიშვილი (4), მარკოიშვილი (11), ცურცვაძე (4); ძიძიგური (5), გასიტაშვილი

ენერჯი: ჩიტაშვილი (8), ლეფავა (8), ბოისა (11), სტეფანოვი (8), ბაბიაშვილი (15); დიდია (8), ცეკვავა (8), ლიპარტელიანი (9), ტუჯანი (8), ჭოჭუა (5), დანელიანი (2)

მსაჯები: მაკა კუპატაძე, ზაზა პაჩალაძე

კომისარი: თენგიზ ქიქოძე

პირადად მე არ მახსოვს და ვერც სხვა ჟურნალისტებმა გაიხსენეს ისეთი ფაქტი, რომ გუნდს ერთ ტაიმში ოდენ 13 ქულა ჩაეგდოს. მსოფლიო კალათბურთში ეგებ მომხდარა, მაგრამ საქართველოში ვერ ვიხსენებთ ასეთ შემთხვევას — 20 წუთში მხოლოდ 13 ქულა — ეს მართლაც უსაშველოდ ცოტაა.

გუშინ, საქართველოს თასის გათამაშების პირველ ტურში, გამორჩეულად „ენერჯი-ინვესტისა“ და „ვითას“ შეხვედრა ითვლებოდა, რაკი ახლახან ქორქია-საკანდელიძის თასის მომგები „ავიამშენი“ რომ იოლად დაჩაგრავდა „დინამოს“, საკამათო არ იყო. ასეც მოხდა: ლევან მოსეშვილის დამოძღვრილმა „ავიატორებმა“ მეტოქე თავიდანვე რომ ჩამოიტოვეს ორი ათეული ქულით, თამაშის ბოლომდე შეინარჩუნეს ეს ლიდერობა. აი, მეორე მატჩი კი უფრო უფერული გამოდგა.

ისე, სიმართლე ითქვას, ამ 50-ქულიანი სხვაობით (92:42) დამთავრებულ მატჩში საინტერესო მომენტებიც იყო. მაყურებელი დიდი მონდომებით აკვირდებოდა ანგარიშის გამუდმებით ცვლას, რაშიც უცნაური არაფერია, მაგრამ როცა ამას კარგა ხნის მანძილზე ერთი გუნდი ახერხებს, მაშინ... თამაშის დაწყებიდან 3 წუთში რუსთაველები 8:4 იგებდნენ, თუმც გავიდა კიდევ 12 წუთი და ქვემოქართლელები უკვე... 44:6 იყვნენ წინ. ანუ თამაშის დაწყებიდან 15 წუთში ზურაბ ტომარაძის გუნდს მხოლოდ 6 ქულა ჰქონდა მოგროვებული. ესეც მორიგი ანტირეკორდი.

ახლა სხვა მოანტირეკორდო მომენტიც გამოვარჩიოთ. „ვითამ“ მატჩში მხოლოდ 2 საჯარიმო ესროლა, რაც თავისთავად ძალიან იშვიათი და უცნაური ამბავია.

ერთი სიტყვით, „ვითა“ გუშინ გვარიანად შერცხვა. ამის მიზეზი კი პირველ რიგში ტრავმიანობაა. დავით ბერძენიშვილი, ბექა წივწიკაძე, ლუკა ნოზაძე, ბუბა და მიშა ბერიშვილები სხვადასხვა მიზეზების გამო ვერ ეხმარებოდნენ „ვითას“. ნამატჩევს რუსთაველთა დამრიგებელმა დავით უსტიაშვილმა სწორედ ამით ახსნა თავისი გუნდის უიოლესი გამარჯვება:

„მეტოქეს არაერთი ლიდერი აკლდა და დიდი სხვაობით დამარცხებაც ამის ბრალია. ძნელია, ამ მატჩისთვის კომენტარის გაკეთება. ეფექრობ, უმჯობესი იქნებოდა, „ვითა“ ამ ტურნირს საბრძოლო შემადგენლობით შეხვედროდა, მაგრამ...“

ტრავმირებული ლაშა გამყრელიძის არყოფნაში რუსთაველებმა თსუ-ს გამთამაშებელი მიხეილ ჩიტაშვილი შეიმატეს, რომელმაც გუშინ „ენერჯი-ინვესტში“ პირველად ითამაშა. მან სასტარტოში დაიწყო თამაში, მოედანზე 21 წუთი გაატარა და 8 ქულასთან ერთად 6 პასითა და 3 ჩაჭრით გამოირჩა.

დღეს მორიგი ტურია: „მაკაბი“ „დინამოს“ შეხვდება, ხოლო თსუ — „ვითას“.

ირაკლი პერტაია

NBA რეგულარული ჩემპიონატი

კიდი ნეშს ვერ გამოეკიდა

20 იანვარი

ფინიქსი 116:92 ნიუ ჯერსი

ფინიქსი: სტუდემაიერი (28), ბელი (20), მერიონი (16 ქულა, 11 მოხსნა, 5 ჩაჭრა), დიაუ (14 ქულა, 10 მოხსნა), ნეში (13 ქულა, 9 პასი)

ნიუ ჯერსი: ჯეფერსონი (24), უილიამსი (12), ნახბარი (12)

არ მოიძებნება ნბა-ში გუნდი, რომელსაც „ფინიქსთან“ გასვლაზე თამაში სიამოვნებდეს, მით უმეტეს, მაშინ, როდესაც წინა დღესაც აქვს ნათამაშები და ძალები ბოლომდე არ აღუდგენია. დაღლილი გუნდისთვის „ფინიქსის“ ქარიშხალა ბიჭების დევნა ნამდვილი კოშმარია და ეს საკუთარ თავზე იწვნია ისედაც არცთუ რიგიან ფორმაში მყოფმა „ნიუ ჯერსმა“.

ჯერსელებს დასავლეთ სანაპიროზე გასვლითი ტურნე აქვთ და დამხვდურები მათ სულ თავბედს აწყევლინებენ. შაბათს ჯეისონ კიდი და მისი რაზმი ასე თუ ისე გაუძალიანდა სუსტ „კლიპერსს“, თუმც ოვერტაიმში წაგო და მეორე დღეს ფინიქსში გადაფრენილი მთლად უშანსოდ დარჩა.

კვირას სხვა თამაში არც გამართულა. „ფინიქსმა“ მალევე მოუთავა ხელი „ნიუ ჯერსის“, როცა პირველი მეოთხედი 35:20 მოუგო და მეორეს დაწყებისთანავე რაჯა ბელის სამქულიანით 38:20 გავიდა წინ. ფაქტობრივად არ შედგა ნბა-ს ორი ზეგამოცდილი თეთრი გამთამაშებლის დუელი. 34 წლის ჯერსელ ჯეისონ კიდს არ ჰქონდა 33 წლის ფინიქსელი სტივ ნეშის დევნის თავი. მან მხოლოდ 9 ქულა და 8 პასი გააკეთა. ისე კი ნეშსაც არ გამოუდია თავი. „ფინიქსმა“ მისი განსაკუთრებული თამაშის გარეშეც იოლად გაიკაკა. 28 ქულა გააკეთა ცენტრმა ამარე სტუდემაიერმა, მსროლელმა რაჯა ბელმა კი 5 სამქულიანი დააქუხა და მატჩი 20 ქულით ჩაამთავრა.

კოტე ყორღია

ძველების აბბათი

ჯონსი და ტრინიდადი — ძველების მტვრეველნი იყვნენ

შაბათს გამთენიისას ნიუ იორკის ლეგენდარულ „მედისონ სქვერ გარდენში“ კრივის ორი ლეგენდის, მსოფლიოს მრავალგზის ექს-ჩემპიონების — როი ჯონსისა და ფელიქს ტრინიდადის ბრძოლა გაიმართა. და, რაც არ უნდა სამწუხაროდ ჟღერდეს, ამ ბრძოლის ლაიტმოტივად სიტყვა „ექს“ იქცა.

დიახ, გუშინ აშკარად გამოჩნდა, რომ ორივე მართლაც ყოფილი ჩემპიონები არიან და მხოლოდ სახელებიდა დარჩენილან იმ მოკრივეებისგან, რომლებიც გასული საუკუნის 90-იან წლებში პროფესიულ კრივში ამინდს ქმნიდნენ. ამ ბრძოლამაც როგორც მინიმუმ 6-7 წლით დაიგვიანა — ჯონსიცა და ტრინიდადიც სწორედ 2000-იანების დასაწყისში იყვნენ ფორმის პიკზე და მათი ჯახიც მაშინ იქნებოდა ხეირიანი საცქერი.

ხოლო ის, რაც გუშინ ვნახეთ, საცოდაობა უფრო იყო — არა, მთლად ასე ამაზრზენიც არ ყოფილა, მაგრამ ამ მოკრივეებს უბრალოდ არ ეკადრებათ იმ დონეზე ჩხუბი, რაც მათ გუშინ აჩვენეს, თორემ ეს რომ, ვთქვათ ტომაშ ადამეკისა და გლენკოფ ჯონსონის ბრძოლა ყოლიფილიყო, მასზე აუგი არავის დასცდებოდა.

ჯონსისა და ტრინიდადის ბრძოლა კი ყველაზე ძნელი საყურებელი მაინც მათი გულშემატკივრებისთვის იყო — აღარც ძველებური სისწრაფე, აღარც დარტყმების სიძლიერე ან სიზუსტე და არც ძველებურად მრავალმხრივი ტექნიკა.

ამ ორი, აწ უკვე ყოფილი ექსტრა-კლასის მოკრივეთა ჯაჭხში კი უკეთესად მაინც 39 წლის ჯონსი გამოიყურებოდა. ის თავიდანვე აკონტროლებდა ვითარებას და ტრინიდადს თითქმის ყოველთვის ერთი ნაბიჯით უსწრებდა წინ — პრინციპში ეს გასაკვირი არც არის თუ გავითვალისწინებთ, რომ პუერტო-რიკოელისთვის უკანასკნელ 32 თვეში ეს პირველი ბრძოლა იყო.

ჯონსი განსაკუთრებით კარგად დაცვაში იდგა და მეტოქეს თითქმის არ აძლევდა დარტყმის საშუალებას. თვითონ ამერიკელი კი რამდენჯერმე გააქტიურდა და ეს სრულებითაც ეყო — ტრინიდადი მეშვიდე და მეათე რაუნდებში ორჯერ დაანოკდაუნა და მსაჯებმაც გამარჯვება ერთხმად მას მიაკუთვნეს.

ბრძოლის შემდეგ ჯონსი ხუმრობის ხასიათზე იყო:

„ფელიქს, არც კი მჯერავს, რომ თორმეტი რაუნდი გამძიელი რინგზე. უმეტესობა უკვე ბებრებად გვთვლის, ზოგი ლამის იქამდე მივიდეს, რომ ყავარჯნები შემოგვთავაზოს. მგონი, მაყურებელიც ბოლოს იმიტომ გვიკრავდა ტაშს, რომ ბრძოლის დასასრულს ორივე ფეხზე ვიდეგით“.

ხუმრობა ხუმრობად, მაგრამ ამ ირონიის მიუხედავად, ჯონსი არსად წასვლას არ აპირებს და ახლა ჯო კალძაგესთან ბრძოლას ესწრაფვის, რადგანაც უნდა, უელსელს IBF-სა და WBO-ს ტიტულები მეორე საშუალო წონაში წაართვას. როგორც ხედავთ, ასაკის მატებასთან ერთად ამერიკელის მადა ოდნავადაც არ იცვლება.

ბაბა ლომაუშვილი



ავსტრალიის ღია პირველობა. მელბურნი. 14-27 იანვარი. საპრიზო 20 640 000 $

აგნეშკა რუსთმუსვრელი

დაღლილ ჰიუიტს ჯოკოვიჩმა სამი სეტი ამყოფინა

კაცები
მეოთხე წრე

როჯერ ფედერერი (1, შვეიცარია) — **ტომაშ ბერდიხი** (13, ჩეხეთი) 6:4 7:6 6:3; **ჯეიმს ბლეიკი** (12, აშშ) — **მარინ ჩილიჩი** (ხორვატია) 6:3 6:4 6:4; **ნოვაკ ჯოკოვიჩი** (3, სერბეთი) — **ლეიტონ ჰიუიტი** (19, ავსტრალია) 7:5 6:3 6:3; **დავიდ ფერერი** (5, ესპანეთი) — **ხუან-კარლოს ფერერო** (22, ესპანეთი) 7:5 3:6 6:4 6:1

ქალები
მეოთხე წრე

ვინუს უილიამსი (8, აშშ) — **მარტა დომახოვსკა** (პოლონეთი) 6:4 6:4; **ანა ივანოვიჩი** (4, სერბეთი) **კაროლინ ვოზნიაკი** (დანია) 6:1 7:6; **დანიელა ჰანტუხოვა** (9, სლოვაკეთი) — **მარია კირილენკო** (27, რუსეთი) 1:6 6:4 6:4; **აგნეშკა რადვანსკა** (29, პოლონეთი) — **ნადია პეტროვა** (14, რუსეთი) 1:6 7:5 6:0

მოვლენებითა და ემოციებით დატვირთული უქმეების შემდეგ ავსტრალიის ღია პირველობა თითქოსდა ყოველდღიურ რუტინას დაუბრუნდა. გუშინ შეხვედრებმა საქმიან ატმოსფეროში ჩაიარა, მაგრამ თავი განსაკუთრებული მოულოდნელობებითა და ხეირიანი სანახაობით ვერ დაგვამახსოვრა. სამაგიეროდ, ყველა მეოთხედფინალური წყვილი გაირკვა, რის საფუძველზეც თამამად შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ უახლოეს დღეებში დიდი ბატალიები გველის.

კაცების ამბები როჯერ ფედერერით დავიწყოთ, რომელიც ტომაშ ბერდიხთან სათამაშოდ იმ განწყობით გავიდა, რომ კორტზე ოთხსაათნახევრიანი ყურყუტი კიდევ ერთხელ არ დასჭირვებოდა. დიადმა ალპელმა იანკო ტიპსარევიჩთან უკვე იგემა ეს მწარე წამალი და გუშინ ყველაფერი გააკეთა ამის თავიდან ასაცილებლად. ხოლო როცა „მხიარულ როჯერს“ კონცენტრაციის პრობლემა არა აქვს და რაიმეს სერიოზულად დაუმიზნებს, მაშინ მისი გამჩერებელი დღევანდელ ტურში ნამდვილად არ არსებობს.

ჰოდა, ამიტომ არც არავის გაჰკვირვებია, ბერდიხმა თეთრი დროშა ორ საათში რომ გამოფინა. ჩეხმა მხოლოდ მეორე სეტში შეძლო მეტ-ნაკლებად გაძლება და ტაიბრეიკამდეც მიიყვანა საქმე — მაგრამ ამის მეტს ვერაფერს ვერ გამორჩა.

„ხუთსეტიანი მატჩები რიტმიდან სერიოზულად გაგდებს. დღეს ძალიან მინდოდა, ამისთვის თავი ამერიდებინა“ — განაცხადა ნამატჩევს ფედერერმა.

მეოთხედფინალში შვეიცარიელს ჯეიმს ბელიკთან მოუწევს დაპირისპირება, რომელმაც ტურნირის აღმოჩენა მარინ ჩილიჩი ძალიან დამაჯერებლად მიჩოგნა. შარშანდელი ფინალისტის ფერნანდო გონსალესის გამგდებმა ხორვატმა ჩვეული ენერგიული და მძლავრი ჩოგბურთით სცადა იანკის დათრგუნვა, მაგრამ ამის მაგივრად დიდი ჩოგბურთის გაკვეთილი მიიღო და ზედიზედ სამი სეტის წაგებით ავსტრალიას დაემშვიდობა. რაც შეეხება ფედერერ-ბლეიკის მომავალ დაპირისპირებას, 7 ურთიერთშეხვედრაში ამერიკელს მხოლოდ ერთი სეტი აქვს მოგებული და ახლა თავად იმსჯელეთ, მათ შორის ფავორიტი ვინ იქნება.

უფრო თანაბარი და შესაბამისად საინტერესოც უნდა გამოვიდეს ნოვაკ ჯოკოვიჩისა და დავიდ ფერერის ჯახი. თან მეოთხედფინალამდე არც ერთს განსაკუთრებული თავგადასავალი არ ჰქონია, რაც იმას ნიშნავს, რომ ორივე დასვენებულია და ამიტომ ერთმანეთს მაგარ ომსაც ჰპირდებიან.

გუშინ კი ჯოკოვიჩმა მასპინძლები დაამწუხრა, როცა მათი უკანასკნელი იმედი ლეიტონ ჰიუიტი გააკრა ბეჭებზე. თუმც ამაში გასაკვირი არაფერი ყოფილა — წინა დღეს მარკოს ბაღდატისთან ოზს თავზე შემოათენდა და ამ მატჩისთვის დასვენება ოდნავადაც ვერ მოახერხა. ამიტომ ლეიტონმა მხოლოდ პირველ სეტში იომა, მერე კი კორტზე ძლივს დალასლასებდა. სერბმაც ადვილად იხეირა, რითაც მოქმედ ჩოგბურთელთა შორის მერვე მეჩოგნედ იქცა, ვინც ოთხივე სლემტურნირის მინიმუმ მეოთხედფინალში გასულა.


ნოვაკ ჯოკოვიჩი

წესით, უფრო უნდა გასჭირვებოდა ფერერს, რადგანაც ხუან-კარლოს ფერერო თითქოსდა საუცხოო ფორმაში იყო. მსოფლიოს ექსპირველი ჩოგანი წლეულს მელბურნში მშვენივრად გამოიყურებოდა და ფერერთან აუტსაიდერად სულაც არ მოჩანდა, მაგრამ მხოლოდ ერთი სეტის აღება შეძლო. ისე კი, დავიდი აშკარა უპირატესობას ფლობდა.

ქალთა შორის ყურადღების ცენტრშია აგნეშკა რადვანსკა, რომელმაც რუს ბობოლათა გამწარება უკვე წესად იქცია. პოლონელმა ორიოდ დღის წინ მოსკოვის ბილეთი გამოუწერა ტურნირის მეორე ნომერ სვეტლანა კუზნეცოვას, გუშინ კი იმავე გზას ნადია პეტროვაც გააყოლა. არადა, რუსს ამ მატჩის მოგება თავისუფლად შეეძლო, რადგანაც პირველ სეტში ძალიან დამაჯერებლად იმარჯვა და მეორეშიც წინ იყო, მაგრამ ნელ-ნელა უპირატესობა ხელიდან გამოეცალა, მერე ტრავმაც მიიღო და წინ რადვანსკა გაატარა.

მეოთხედფინალში პოლონელს კიდევ ერთი რუსის, მარია კირილენკოს მძლეველ დანიელა ჰანტუხოვასთან მოუწევს დატაკება. ისე, აქაც უკეთ რუსმა დაიწყო, მაგრამ სლოვაკმა ლამაზმანმა შეძლო მატჩში გარდატეხის შეტანა და ახლა მშვენიერი შანსი აქვს, სლემტურნირის ნახევარფინალს კარიერაში პირველად უწიოს.

მეორე მეოთხედფინალი კი სუპერდაპირისპირება უნდა გამოვიდეს — ვინუს უილიამსი ანა ივანოვიჩის გამოცდას შეეცდება. თუმც ეგეც საკითხავია, ვინ ვის გამოცდის, რადგანაც ჯერჯერობით მწვანე კონტინენტზე სერბი გაცილებით უკეთესად გამოიყურება. გუშინაც ანამ ადვილად მოუგო ქალთა ჩოგბურთის ამომავალ ვარსკვლავ კაროლინ ვოზნიაკს.

ვინუსმა კი, როგორც წინა სამ მატჩში, ახლაც მაგრად იწვალა, უამრავი შეცდომები დაუშვა და ტაქტიკურადაც საკმაოდ გაუმართავად ითამაშა, მაგრამ ეს მარტა დომახოვსკას დასაჯაბნად მაინც ეყო. თუმც ივანოვიჩის დასამარცხებლად ასეთი ჩოგნაობა საკმარისი არ იქნება და სერბის დასაჩოქებლად უფროს უილიამსს აშკარად მეტი დაკვირვებით თამაში მართებს.

კახა ლომაჯვილი

მარცხიანი დღე

ჰაკუხო კი იგებს და იგებს

უილბლო გამოდგა გუშინდელი დღე სამივე ქართველი სუმოისტისთვის. სეზონის პირველ სუპერტურნირზე, ანვრის ბაშოზე, ლევან ცაგურიამ, ლევან გორგაძემ და თეიმურაზ ჯუღელმა, დათქმულივით ერთად წააგეს.

ჯერ უმაღლესი დივიზიონის აღმოსავლეთის მე-9 მაეგაშირა ლევან ცაგურიაზე ვთქვათ. კოკაიდ (შავი ზღვა) წოდებულმა ქართველმა გოლიათმა ვერაფერი მოუხერხა დასავლეთის მე-12 მაეგაშირა ტოსანოუმას, რომელსაც გუშინდლამდე რვა ბრძოლიდან მხოლოდ ერთი ჰქონდა მოგებული. ვაგლახ, რომ გამარჯვება ჩვენიანთან გაორა. კოკაისთვის ეს მესამე მარცხი იყო ცხრა ბრძოლიდან. ახლა მისი ბალანსი 6:3-ია და დარჩენილი ექვსი ბრძოლიდან ორის მოგებაც კმარა, დადებითი ბალანსი რომ შეინარჩუნოს და რეიტინგში დაწინაურდეს.

უმაღლეს დივიზიონში დაუმარცხებელი კვლავ 22 წლის იოკუძუნა ჰაკუხოა. უმაღლესი წოდების მქონე ფალავანმა მეცხრე საჭიდაო დღეს არცთუ ძლიერ ვაკანისიტოს იოლად მოუგო და მიჯრით მეცხრე გამარჯვება მიითვალა. ჰაკუხოს დამწეევი მხოლოდ იოკოძუნა ასასორიუა, რომელსაც ყველაზე მეტი, 21 სუპერტურნირი აქვს მოგებული და ჯერჯერობით რვა მოგებით და ერთი მარცხით ჰაკუხოს კუდში მისდევს.

რანგით მეორე დივიზიონში, ძურიოში, მესამე ბრძოლა წააგო 20 წლის ლევან გორგაძემ. გორგაძე ტურნირის მე-13 ნომერთან ტამავაშასთან დამარცხდა და ახლა მისი ბალანსი 6 მოგება და 3 წაგებაა. მეორე დივიზიონს იაპონელი კიტატაიკი ლიდერობს, რომელმაც ცხრა ბრძოლიდან რვა მოიგო. შვიდ-შვიდი მოგება აქვთ ტამავაშის, კიტადაკურისა და ჰოშიჰიკარას. დღეს დილით გორგაძე 145-კილოიან მონღოლს, მოკონამას დაეჭიდა, რომელიც ქართველს ერთი გამარჯვებით ჩამორჩება.

მესამე დივიზიონში თეიმურაზ ჯუღელმა, რომლის მეტსახელი გაგამარუა, იაპონელ იოცუგურუმასთან წაგო და სამი გამარჯვების წილ ორი მარცხი დაუგროვდა. გაგამარუს წოდებაში დასაწინაურებლად და დადებითი ბალანსის შესანარჩუნებლად დარჩენილი ორი ბრძოლიდან ერთის მოგებაც ჰყოფნის.

ბაჩო სვანიძე

წლეულს ჰაინეკენს სხვები დალევენ

ჰაინეკენის თასის ჯგუფურ ეტაპზე ბოლო, მეექვსე ტურის თამაშები ჩამთავრდა. პირველ, მეორე და მესამე ჯგუფებიდან გამსვლელ-დამრჩენთა ვინაობა მეტ-ნაკლებად გარკვეული იყო, რასაც ვერ ვიტყვით მეოთხე, მეხუთე და მეექვსე ჯგუფებზე, სადაც ბოლო ჯახებს ბევრი რამ უნდა გაერკვია და დაძაბულობითაც სწორედ ეს თამაშები გამოირჩა. ქართველების, გოდერძი შველიძისა და დავით ზერაქაშვილის „კლერმონი“ საბოლოო ჯამში მეორე ადგილზე გავიდა და ჯგუფში ჩარჩა.

შარშანდელი გათამაშების ჩემპიონი ლონდონის „ვოფსი“ ტურნირს ირლანდიაში გამოეთიშა „მანსტერთან“ უპრინციპულეს ჯახში. ლოურენს დალალიომ და კომპანიამ უსახური ბრძოლა გაუმართეს ირლანდიელებს, რის გამოც პირველი ადგილიდან მესამეზე ჩაქვეითდნენ და ევროასპარეზს გამოეთიშნენ. მოქმედი ჩემპიონები ტურნირიდან კი გავარდნენ, მაგრამ ჯგუფში თავმოყრილი გუნდების სიძლიერიდან და შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, ეს ამბავი არ შეიძლება სენსაციად ჩაითვალოს.

„მანსტერისთვის“ ეს იყო სეზონის საუკეთესო მატჩი, მაგრამ გამარჯვება მეტ-ნაკლებად მაინც ერთი კაცის გამოცდილებამ და ნიჭმა გამოჭედა. ეს გახლდათ რონან ოჰარა — ირლანდიელთა გამთამაშებელი, ვინც სალელოვე პასი გაიკეთა, გარდასახვა გაიტანა და ყველაფერ ამას 4 ჯარიმაც დააყოლა. ოჰარას ახალგაზრდა ოპონენტმა დენი კიპრიანიმ გამოწვევას ვერ გაუძლო. „მანსტერის“ მოთამაშეებმა წარმატებით ინადირეს მასზე და ერთი ჯარიმის გარდა არაფერი მოანაგრებინეს. შთამბეჭდავი იყო ირლანდიელთა შერკინებაც. ამ უმოწყალო მებრძოლებში, რომლებმაც თამაშის განმავლობაში აურაცხელი შებოჭვა აკეთეს, აშკარად გამოირჩეოდა დონჩა ოკალაჰანი. მან თავის მეტოქე თანაამპლუელებს, რაფაელ იბანიესის მეთაურობით, ქაცვებით მიწა ათხრევინა, ბალახიც აჭამა და ბურთთან მიკარების საშუალება მოუსპო. მოკლედ, „ვოფსს“ ქუდი დაახურეს და გაუშვეს...

იმავე ჯგუფში ჩვენებურების „კლერმონმა“, რომელშიც ზერაქაშვილი ძირითადად სათადარიგოთა სკამზე ზის და შველიძე კი განაცხადშიც არ არის, „სკარლეტზს“ შავი დღე აყარა. უელსელები ექვსიდან ერთი თამაშის მოგებას მაინც იმედოვნებდნენ, მაგრამ ფრანგების ჯგუფიდან გასვლის შანსი სტუმრად მოგებაში იყო. რა შეიძლება ითქვას ამ ჯახზე? ის, რომ ფრანგებმა მასპინძლებს ბურთი არ დაანახვეს. უელსელების შეტევას სტუმრები დასაწყისშივე კლავდნენ და საბოლოო ჯამში ექვსი ლელოც გაუტანეს. არათანაბარი ბრძოლა იყო. „სკარლეტზი“, უბრალოდ, შეგებრალებოდათ.

მეექვსე ჯგუფში ფრანგულ „ტულუზს“ პირველობას ვერავინ ეცილებოდა, მეორე ადგილზე გასულს კი ინგლისური „ლესტერსა“ და ირლანდიურ „ლენსტერს“ შორის ჯახი გამოარკვევდა. ეს შეხვედრა თვალსასაჩინო სანახავი გამოვიდა. ორი თანაბარი ძალის გუნდიდან უფრო მონდომებულმა და ჟინით მობურთალმა გაიმარჯვა. სასტვენისთანავე „ლესტერი“ თავს დაესხა მიმხვდურს და მთელი 80 წუთის განმავლობაში უკანმოუხედავად უტევდა. იყო პერიოდი, როცა მასპინძლები 13 კაცით რაგბობდნენ, მაგრამ ამით ბრაიან ოდრისკოლის გუნდს ქულაც არ უხეირია.

„ტულუზმა“ კი „ედინბურგთან“ გაიმყარა პოზიციები. სულ თამაშთამაშით და ნაირ-ნაირი ლელოებით დახუნძლა შოტლანდიელები. შესვედრაში იყო ეპიზოდები, როცა ფრანგები იფეთქებდნენ და შეუჩერებლები ხდებოდნენ, ხოლო შემდეგ „ედინბურგიც“ მოიპოვებდა ხოლმე ტერიტორიულ უპირატესობას, მაგრამ ბურთის კონტროლი არანაირად არ ასახულა შედეგზე. „ტულუზის“ ვარსკვლავმოიერიშეები ისე არღვევდნენ ბრიტანელთა დაცვის რიგებს, თითქოს ვარჯიშზე იყვნენ და არა ევროპის საკლუბო ჩემპიონატის მატჩზე.

ჰაინეკენის თასის გათამაშების წესების თანახმად, ჯგუფიდან ექვსი პირველადგილოსანი და ორი საუკეთესო მეორეადგილოსანი გადის, ჰოდა, ქულების დათვლის შემდეგ მეოთხედფინალში გასული გუნდები ამგვარად დაწყვილდნენ: „სარასენსი“ — „ოსფრისი“, „ლონდონ აირში“ — „პერპინიანი“, „გლოსტერი“ — „მანსტერი“ და „კარდიფ ბლუზი“ — „ტულუზი“.

მეოთხედფინალური მატჩები 4-6 აპრილს გაიმართება.

ზურაბ მიგრიაული

I ჯგუფი

ტრევიზო 11:24 ლონდონ აირში

ტრევიზო: 1ლ: დე ჯაგერი; 2ს: გუსენი
ლონდონ აირში: 4ლ: დე ვედია, ჰეივატი (2), რიჩარდსი; 2გ: ჰეივატი

ნივპორტი 0:25 პერპინიანი

პერპინიანი: 3ლ: გრანდკაუდი, მარტი, პლანტი; 2გ: მონტგომერი; 2ს: მონტგომერი

ლონდონ აირში 24, პერპინიანი 22, ნივპორტი 8, ტრევიზო 5

II ჯგუფი

გლოსტერი 29:21 ალსტერი

გლოსტერი: 5ლ: ბელშევი, ნარვეი, ქერა (2), სტროკოსჩი; 2გ: პატერსონი
ალსტერი: 3ლ: ბოუვი (2), ტრიმბლი; 3გ: ოკონორი, უოლესი (2)

ბურგუენი 21:28 ოსფრისი

ბურგუენი: 2ლ: დენოსი, ტჩუგონგი; 1გ: პარა; 3ს: ლაალუ (2), პარა
ოსფრისი: 3ლ: ბრუნი, ტომასი, უილიამსი; 2გ: პუკი; 3ს: პუკი

გლოსტერი 24, ოსფრისი 21, ბურგუენი 8, ალსტერი 5

III ჯგუფი

ბრისტოლი 0:17 კარდიფ ბლუზი

კარდიფ ბლუზი: 2ლ: მოლტიკა, ტომასი; 2გ: ბლაირი; 1ს: ბლაირი

ჰარლიქვინი 10:31 სტად ფრანსე

ჰარლიქვინი: 1ლ: კეოგჰი; 1გ: ჩარვისი; 1ს: ჩარვისი
სტად ფრანსე: 4ლ: არიასი, კორლეტო, სკრელა, შარფუსკი; 4გ: სკრელა; 1ს: სკრელა

კარდიფ ბლუზი 20, სტად ფრანსე 18, ბრისტოლი 12, ჰარლიქვინი 2

IV ჯგუფი

გლაზგო 17:21 სარასენსი

გლაზგო: 1ლ: სტორტონი; 4ს: პარქსი
სარასენსი: 2ლ: პაუგტონი, ჯეკსონი; 1გ: ჯეკსონი; 3ს: ჯეკსონი

ბიარიცი 25:16 ვიადანა

ბიარიცი: 4ლ: კარიზა, კრონფე, ნგვენა (2); 1გ: ბოში; 1ს: ბოში
ვიადანა: 1ლ: ჰოვარდი; 1გ: პაილეტი; 3ს: ჰოვარდი

სარასენსი 24, ბიარიცი 18, გლაზგო 16, ვიადანა 3

V ჯგუფი

სკარლეტზი 0:41 კლერმონი

კლერმონი: 6ლ: ფლიჩი (2), ფაკეტი, ჯეიმსი, ლეფესმა, ვერმულენი; 4გ: ჯეიმსი; 1ს: ჯეიმსი

მანსტერი 19:3 ვოფსი

მანსტერი: 1ლ: ლეამი; 1გ: ოჰარა; 4ს: ოჰარა
ვოფსი: 1ს: კიპრიანი

მანსტერი 19, კლერმონი 19, ვოფსი 18, სკარლეტზი 0

VI ჯგუფი

ტულუზი 34:10 ედინბურგი

ტულუზი: 5ლ: კლერკი (2), დონგუი, ფრიცი, პერუჯინი; 3გ: დუ ტოიტი, ელისალდე (2); 1ს: ელისალდე
ედინბურგი: 1ლ: ჯისინგი; 1გ: ბლეირი; 1ჯ: გუდმენი

ლესტერი 25:9 ლენსტერი

ლესტერი: 3ლ: დეიკონი, ჰერინგი, რაბენი; 2გ: გუდი; 2ს: გუდი
ლენსტერი: 3ს: კონტეპომი

ტულუზი 20, ლესტერი 14, ლენსტერი 12, ედინბურგი 9

კაცთა ევროპის ჩემპიონატი ნორვეგია. 17-27 იანვარი

ნორვეგიას სტუმრები შეუმცირდა

უნგრელი ხუბაი საბო ბელარუსთა კარს უტევს

ნორვეგიაში მიმდინარე ევროპის ჩემპიონატმა პირველი ჯგუფური ეტაპი მოილია და მეორე ეტაპზე გადაერთო. საწყისი თამაშების მერე საჩემპიონო რბოლას ოთხი უცუდესი გუნდი გამოეთიშა და საუკეთესოს ტიტულის მოსაპოვებლად ბრძოლას 12 ნაკრები განაგრძობს. სახლში გამგზავრებულთა შორისაა რუსეთის ნაკრებიც, რომელმაც ერთი თამაშის მოგებაც ვერ შეძლო.

ჯგუფებში მაქსიმალური ქულები ოლიმპიურმა ჩემპიონმა ხორვატიამ, საფრანგეთმა და მასპინძელმა ნორვეგიამ დააგროვეს, რაც მომდევნო ეტაპზე მნიშვნელოვანი ფორა იქნება, რადგან იქ გუნდებს ის ქულები გადაჰყვათ, რომლებიც ჯგუფიდან გასულებთან მოიპოვეს. გუნდები, რომლებიც ერთ ჯგუფში იყვნენ, მომდევნო ეტაპზე ერთმანეთს აღარ შეხვდებიან. დარჩენილმა თორმეტმა გუნდმა კი E და F ჯგუფი ჩამოაყალიბა.

პირველი ჯგუფური ეტაპის მესამე ტური

A ჯგუფი

პოლონეთი 33:30 ჩეხეთი

ხორვატია 29:24 სლოვენია

ხორვატია	3	0	0	88:76	6
პოლონეთი	2	0	1	93:89	4
სლოვენია	1	0	2	85:94	2
ჩეხეთი	0	0	3	87:100	0

B ჯგუფი

დანია 31:28 რუსეთი

ნორვეგია 27:22 ჩერნოგორია

ნორვეგია	3	0	0	86:75	6
დანია	2	0	1	89:79	4
ჩერნოგორია	0	1	2	71:84	1
რუსეთი	0	1	2	74:88	1

C ჯგუფი

გერმანია 22:30 ესპანეთი

უნგრეთი 31:26 ბელარუსი

ესპანეთი	2	0	1	94:88	4
გერმანია	2	0	1	84:82	4
უნგრეთი	2	0	1	89:80	4
ბელარუსი	0	0	3	84:101	0

D ჯგუფი

შვედეთი 41:25 სლოვაკეთი

საფრანგეთი 30:21 ისლანდია

საფრანგეთი	3	0	0	90:76	6
შვედეთი	2	0	1	89:72	4
ისლანდია	1	0	2	68:76	2
სლოვაკეთი	0	0	3	78:101	0

E ჯგუფი: ხორვატია 4 ქულა, ნორვეგია 4, დანია 2, პოლონეთი 2, სლოვენია 0, ჩერნოგორია 0.

F ჯგუფი: საფრანგეთი 4, უნგრეთი 2, ესპანეთი 2, შვედეთი 2, გერმანია 2, ისლანდია 0.

ლევანი მაისურაძე

სწორედ ის ჰერმინატორი

ავსტრიულ კიცბიულში გასულ უქმეებზე კაც მთის მოთხილამურეთა მსოფლიოს თასის გათამაშების მორიგი სტარტები ლიხტენშტაინელმა მარკო ბუშელმა (სუპერგიგანტი), შვეიცარიელმა დიდიე კუშემ (სწრაფდაშვება), ფრანგმა ჟან-ბატისტ გრანჟემ (სლალომი) და ამერიკელმა ბოდე მილერმა (კომბინაცია) მოიგეს, მაგრამ არ შევცდებით თუ ვიტყვით, რომ კიცბიულის თოვლიან ფერდობებზე მთავარი გმირი დიადი ავტრიელი ჰერმან მაიერი იყო. „ჰერმინატორი“ ის აღარაა, რაც, თუნდაც ორისამი წლის წინათ იყო და მსოფლიოს თასის ოთხგზის მომგებს, ოლიმპიურ თამაშებისა და მსოფლიოს ჩემპიონატების მრავალგზის გამარჯვებულს, მიმდინარე სეზონში თავი არაფრით გამოუჩენია. კიცბიულში კი მას სულ ცოტა დააკლდა, რათა მსოფლიოს თასის ეტაპებზე თავისი 54-ე გამარჯვება მოეპოვებინა — სუპერგიგანტში ბუშელს ოდენ წამის თექვსმეტი მეასედით ჩამორჩა, ხოლო სწრაფდაშვების ლეგენდარულ ტრასაზე მისი მჯობნი არავინ იქნებოდა, რომ არა სულ ბოლოსკენ დაშვებული შეცდომა.

ამ შეცდომის გამო მაიერს მხოლოდ მეხუთე ადგილი ერგო, ხოლო პირველობა კუშემ მოიპოვა და გენერალურ კლასიფიკაციასაც სათავეში მოექცა, ოღონდაც, სულ ერთი დღით — კვირის კომბინაცია რომ დასრულდა, პირველ ადგილზე ისევ ავსტრიელმა ბენჯამინ რაიხმა გადაინაცვლა, ხოლო კუშემ, სულაც მესამე ადგილზე ჩაიწია — მეორეზე კომბინაციის მომგები ამერიკელი ბოდე მილერი აღზევდა და 2005 წლის მსოფლიოს თასის მფლობელს ამიერიდან სრულიად ამერიკის რეკორდსმენიც შეგვიძლია ვუწოდოთ. მილერმა კომბინაციის მოგებით მსოფლიოს თასის ეტაპებზე მოპოვებულ გამარჯვებათა რიცხვი 28-მდე გაზარდა და ამ მაჩვენებლით გასული საუკუნის 80-იან წლებში მსოფლიოს თასის სამგზის მფლობელ ფილ მარეს გადაასწრო.

ქალთა გენერალურ კლასიფიკაციაში კი კვლავაც შარშანდელი გამარჯვებული, ავსტრიელი ნიკოლ ჰოსპი ლიდერობს. იტალიურ კორტინა დამპეცოში გასულ უქმეებზე სწრაფდაშვების და სუპერგიგანტის ორი ეტაპი ჩატარდა, რომელთაგან სწრაფდაშვება ამერიკელმა ლინდსი კილდოუმ მოიგო, ხოლო სუპერგიგანტში ავსტრიელმა მარია ჰოლაუსმა და გერმანელმა მარია რიოშმა იმარჯვეს. ჰოსპი პოდიუმზე პირველ სუპერგიგანტში ავიდა, თანამემამულის შემდეგ მეორე იყო და ახლა 26 ქულით უსწრებს მეორე ადგილზე აღზევებულ კილდოუს.

მსოფლიოს თასი. კაცები. კიცბიული. ავსტრია. 18-20 იანვარი

სუპერგიგანტი

1. მარკო ბუშელი (ლიხტენშტაინი)	1 წთ 15,44 წმ
2. ჰერმან მაიერი (ავსტრია)	1.15,60
3-4. მარიო შაიბერი (ავსტრია)	1.15,77
3-4. დიდიე კუშე (შვეიცარია)	1.15,77
5. ჯონ კუჩერა (კანადა)	1.15,87

სწრაფდაშვება

1. დიდიე კუშე (შვეიცარია)	1 წთ 52,75 წმ
2-3. მარიო შაიბერი (ავსტრია)	1.53,02
2-3. ბოდე მილერი (აშშ)	1.53,02
4. მიხაელ ვალხოფერი (ავსტრია)	1.53,03
5. ჰერმან მაიერი (ავსტრია)	1.53,36

სლალომი

1. ჟან-ბატისტ გრანჟე (საფრანგეთი)	1 წთ 45,04 წმ (55,21+49,83)
2. იენს ბიგმარკი (შვედეთი)	1.45,19 (55,54+49,65)
3. მარიო მატი (ავსტრია)	1.45,56 (55,43+50,13)
4. ჟულიენ ლიზერო (საფრანგეთი)	1.45,71 (55,51+50,20)
5. რაინერ შონფელდერი (ავსტრია)	1.45,98 (56,36+49,62)

კომბინაცია (სწრაფდაშვება + სლალომის ორი ცდა)

1. ბოდე მილერი (აშშ)	3 წთ 39,86 წმ (1.53,02+1.46,84)
2. ბენჯამინ რაიხი (ავსტრია)	3.40,79 (1.54,56+1.46,23)
3. ივიცა კოსტელიჩი (ხორვატია)	3.42,04 (1.55,71+1.46,33)
4. რაინერ შონფელდერი (ავსტრია)	3.42,04 (1.56,06+1.45,98)
5. ტედ ლიჯეტი (აშშ)	3.42,95 (1.56,71+1.46,24)

საერთო ჩათვლა

1. ბენჯამინ რაიხი (ავსტრია)	860 ქულა
2. ბოდე მილერი (აშშ)	831
3. დიდიე კუშე (შვეიცარია)	794
4. დანიელ ალბრეხტი (შვეიცარია)	572
5. ჟან-ბატისტ გრანჟე (საფრანგეთი)	556

მსოფლიოს თასი. ქალები. კორტინა დამპეცო. იტალია. 19-21 იანვარი

სწრაფდაშვება

1. ლინდსი კილდოუ (აშშ)	1 წთ 36,70 წმ
2. ანია პერსონი (შვედეთი)	1.37,53
3. ემილი ბრეიდონი (კანადა)	1.37,90
4. კელი ვანდერბიკი (კანადა)	1.37,94
5. რენატა გიოტჩლი (ავსტრია)	1.37,96

სუპერგიგანტი

1. მარია ჰოლაუსი (ავსტრია)	1 წთ 24,63 წმ
2. ჯულია მანკუზო (აშშ)	1.24,86
3. ნიკოლ ჰოსპი (ავსტრია)	1.24,91
4. ემილი ბრაიდონი (კანადა)	1.24,92
5. ლინდსი კილდოუ (აშშ)	1.24,93

სუპერგიგანტი

1. მარია რიოში (გერმანია)	1 წთ 25,73 წმ
2. ელიზაბეტ გიორგლი (ავსტრია)	1.25,77
3. რენატა გიოტჩლი (ავსტრია)	1.25,93
4. ლინდსი კილდოუ (აშშ)	1.25,94
5. ბრიტ იანიკი (კანადა)	

საერთო ჩათვლა

1. ნიკოლ ჰოსპი (ავსტრია)	759 ქულა
2. ლინდსი კილდოუ (აშშ)	733
3. მარია რიოში (გერმანია)	713
4. ჯულია მანკუზო (აშშ)	679
5. მარლიზ შილდი (ავსტრია)	615

აჰონენის ერთი და ნალდი

უამინდობამ მნიშვნელოვნად არია ჩეხური გარახოვის გიგანტურ ტრამპლინზე გასამართი მსოფლიოს თასის მორიგი ეტაპის განრიგი. გასულ უქმეებზე ტრამპლინიდან ფრენაში, როგორც ადრე უწოდებდნენ გიგანტური ტრამპლინიდან მხტომელთა შეჯიბრს, ერთბაშად ორი სტარტი იყო დაგეგმილი, მაგრამ მხოლოდ ერთის ჩატარება მოესწრო, ისიც განახევრებული პროგრამით — კვირის გამარჯვებული ერთი ნახტომით გამოვლინდა და ეს გამარჯვებული ფინელი იანე აჰონენი იყო, ვინც „ოთხი მთის ტურნეს“ მოგების შემდეგ აშკარად ხასიათზე მოვიდა და ნელ-ნელა ამცირებს ჩამორჩენას გენერალური კლასიფიკაციის ავსტრიელ ლიდერთან, ტომას მორგენშტერნთან, რომელიც გარახოვში მხოლოდ მეხუთე იყო.

მსოფლიოს თასი. გარახოვი. ჩეხეთი. 18-21 იანვარი

გიგანტური ტრამპლინი. HS 205 (ერთი ნახტომი)

1. იანე აჰონენი (ფინეთი)	187,9 ქულა (199,5 მ)
2. ტომ ჰილდე (ნორვეგია)	185,6 (193,0)
3. ანდერს იაკობსენი (ნორვეგია)	181,2 (191,0)
4. დმიტრი ვასილიევი (რუსეთი)	178,2 (191,0)
5. ტომას მორგენშტერნი (ავსტრია)	177,6 (188,0)

საერთო ჩათვლა

1. ტომას მორგენშტერნი (ავსტრია)	1115 ქულა
2. იანე აჰონენი (ფინეთი)	810
3. გრეგორ შლირენცაუერი (ავსტრია)	707
4. ტომ ჰილდე (ნორვეგია)	682
5. ვოლფგანგ ლოიტცლი (ავსტრია)	507

მსოფლიოს თასი. კლინგენტალი. გერმანია. 19-20 იანვარი

პირადი. მასსტარტი 10 კმ + ორი ნახტომი HS 140 ტრამპლინიდან

1. ერიკ ფრენცელი (გერმანია)	25 წთ 04,6 წმ (მე-2 ადგილი ტრამპლინზე)
2. რონი აკერმანი (გერმანია)	25.05,1 (3)
3. ანსი კოივურანტა (ფინეთი)	25.09,7 (10)
4. ბილ დემონგი (აშშ)	24.40,7 (20)
5. დევიდ კრაინერი (ავსტრია)	24.55,5 (18)

პირადი. სპრინტი. ერთი ნახტომი HS 140 ტრამპლინიდან + 7,5 კმ

1. რონი აკერმანი (გერმანია)	18 წთ 45,9 წმ (მე-2 ადგილი ტრამპლინზე)
2. ერიკ ფრენცელი (გერმანია)	19.04,2 (1)
3. დევიდ კრაინერი (ავსტრია)	19.27,1 (8)
4. ჰავარდ კლემეტსენი (ნორვეგია)	19.31,6 (6)
5. ბერნარდ გრუბერი (ავსტრია)	19.33,0 (3)

საერთო ჩათვლა

1. რონი აკერმანი (გერმანია)	851 ქულა
2. ბილ დემონგი (აშშ)	661
3. ჟესონ ლამი შაპუი (საფრანგეთი)	568
4. ბიორნ კირხაიზენი (გერმანია)	567
5. პეტერ ტანდე (ნორვეგია)	530

ორჭიდელთა მსოფლიოს თასს რონი აკერმანი დიდი უპირატესობით ლიდერობს

ასის თითქმის ასი

ბიორნდალენს გამარჯვებები არ ბეზრდება

მსოფლიოს თასის თითოეულ ეტაპზე მინიმუმ ერთი გამარჯვება და სეზონის ბოლოს მსოფლიოს თასის გამარჯვებულის სარგო ბროლის დიდი გლობუსი — ასეთია ოლე ეინარ ბიორნდალენის პროგრამა მინიმუმი 2007-08 წლების ზამთრის სეზონისთვის და დიადი ნორვეგიელი ამ პროგრამას, ჯერჯერობით, იუველირის სიზუსტით ასრულებს.

მართალია, წინა, გერმანულ რუპოლდინგში გამართულ ეტაპზე ოლემ ინდივიდუალურ სახეობებში ვერ იპირველა, მაგრამ თანაგუნდელებთან ერთად ესტაფეტაში მაინც იმარჯვა და გასულ კვირას იტალიურ ანჰოლტცში კი ნორვეგიელმა თავისი მოსაგები 15 კილომეტრზე მასობრივი სტარტით რბოლაში მოიგო, როდესაც ოთხ საცეცხლე პოზიციაზე მხოლოდ ერთი შეცდომა დაუშვა.

ამგვარად, მიმდინარე სეზონში გამართულ ექვს ეტაპზე ბიორნდალენმა ხუთი ინდივიდუალური რბოლა მოიგო და სამჯერაც ესტაფეტაში იპირველა. სულ კი ოლეს, თავის 13-წლიან ფანტასტიკურ კარიერაში, მსოფლიოს თასის ეტაპებზე, უკვე 80 ინდივიდუალური (აქედან ერთი ბარის თხილამურობაში) გამარჯვება აქვს მოპოვებული და თუ ამას თანაგუნდელებთან ერთად მოგებულ 18 ესტაფეტასაც დავამატებთ, დავინახავთ, რომ ფენომენალურ ნორვეგიელს 100 გამარჯვებამდე ბევრი აღარაფერი უკლია და გამარჯვებათა ასამდე დამრგვალებას ის, სავარაუდოდ, უკვე ამ სეზონში მოახერხებს.

შეიძლება ამ სეზონში ვერა, მაგრამ სამომავლოდ ბიორნდალენი ნამდვილად შეძლებს ლეგენდარული შვედი სამთო მოთხილამურის, ინგემარ სტენმარკის რეკორდის დამხობას. სტენმარკს მსოფლიოს თასის ეტაპებზე ზამთრის სპორტის რაგინდარა სახეობის წარმომადგენელთაგან ყველაზე მეტი — 86 გამარჯვება აქვს მოპოვებული და ოლეს თავისი 80 ინდივიდუალური ტრიუმფით, შვედის მიღწევამდე სულ ცოტაღა უკლია.

შვედებზე ჩამოვარდა საუბარი და ანჰოლტცში მშვენივრად გამოვიდა ბიორნ ფერი, რომელმაც გამოდევნებით რბოლა მოიგო და მასტარტში კი მეორე ადგილი დაიკავა. უნდა ვახსენოთ გერმანელი მიხაელ გრაისიც, რომელმაც სამივე სახეობა პოდიუმზე დაასრულა და სპრინტში, სულაც საუკეთესო იყო.

ქალებს რაც შეეხება, აქ გრაისის თანამემამულეთა უპირატესობა აშკარა იყო — კატი ვილჰელმმა სპრინტში იმარჯვა, ხოლო გამოდევნებასა და მასტარტში ანდრეა ჰენკელი იყო საუკეთესო.

მსოფლიოს თასი. VI ეტაპი. ანტჰოლცი. იტალია. 17-20 იანვარი

კაცები

სპრინტი. 10 კმ ორი სასროლეთით

1. მიხაელ გრაისი (გერმანია)	25 წთ 05,4 წმ (0 აცდენა)
2. ნიკოლაი კრუგლოვი (რუსეთი)	25.08,8 (0)
3. ოლე ეინარ ბიორნდალენი (ნორვეგია)	25.11,8 (0)
4. ჰალვარდ ჰანევოლდი (ნორვეგია)	25.40,3 (0)
5. დანიელ მეზოტიჩი (ავსტრია)	25.41,1 (0)

გამოდევნება. 12, 5 კმ ოთხი სასროლეთით

1. ბიორნ ფერი (შვედეთი)	32 წთ 46,65 წმ (1 აცდენა)
2. ნიკოლაი კრუგლოვი (რუსეთი)	+26,5 წმ (2)
3. მიხაელ გრაისი (გერმანია)	+28,7 (4)
4. დანიელ მეზოტიჩი (ავსტრია)	+38,2 (1)
5. სიმონ ფურკადი (საფრანგეთი)	+50,4 (1)

15 კმ. მასსტარტი ოთხი სასროლეთით

1. ოლე ეინარ ბიორნდალენი (ნორვეგია)	36 წთ 26,9 წმ (1 აცდენა)
2. ბიორნ ფერი (შვედეთი)	+20,5 წმ (1)
3. მიხაელ გრაისი (გერმანია)	+26,3 (2)
4. მაქსიმ ჩუდოვი (რუსეთი)	+26,4 (3)
5. ვენსან დეფრანი (საფრანგეთი)	+36,1 (0)

საერთო ჩათვლა

1. ოლე ეინარ ბიორნდალენი (ნორვეგია)	550 ქულა
2. დმიტრი იაროშენკო (რუსეთი)	439
3. მიხაელ გრაისი (გერმანია)	390
4. მაქსიმ ჩუდოვი (რუსეთი)	365
5. ბიორნ ფერი (შვედეთი)	351

ქალები

სპრინტი. 7,5 კმ ორი სასროლეთით

1. კატი ვილჰელმი (გერმანია)	21 წთ 36,4 წმ (0 აცდენა)
2. ანდრეა ჰენკელი (გერმანია)	21.36,9 (0)
3. სვეტლანა სლეპცოვარ (რუსეთი)	22.03,3 (0)
4. ანა კარინ ოლოფსონი (შვედეთი)	22.08,7 (0)
5. სიმონა დენკინგერი (გერმანია)	22.14,9 (0)

გამოდევნება. 10 კმ ოთხი სასროლეთით

1. ანდრეა ჰენკელი (გერმანია)	32 წთ 51,3 წმ (1 აცდენა)
2. სვეტლანა სლეპცოვა (რუსეთი)	+33,4 წმ (2)
3. ტორა ბერგერი (ნორვეგია)	+46,5 (1)
4. მაგდალენა ნოინერი (გერმანია)	+56,2 (6)
5. სანდრინ ბაიი (საფრანგეთი)	+1.08,0 (4)

12,5 კმ. მასსტარტი ოთხი სასროლეთით

1. ანდრეა ჰენკელი (გერმანია)	36 წთ 07,3 წმ (1 აცდენა)
2. ანა კარინ ოლოფსონი (შვედეთი)	+16,1 წმ (0)
3. კატი ვილჰელმი (გერმანია)	+28,8 (2)
4. მაგდალენა ნოინერი (გერმანია)	+48,8 (6)
5. სანდრინ ბაიი (საფრანგეთი)	+55,1 (2)

საერთო ჩათვლა

1. კატი ვილჰელმი (გერმანია)	468 ქულა
2. ანდრეა ჰენკელი (გერმანია)	456
3. სანდრინ ბაიი (საფრანგეთი)	440
4. მაგდალენა ნოინერი (გერმანია)	423
5. მარტინა გლაგოვი (გერმანია)	398

რეგულარული ჩემპიონატი

20 იანვარი

რეინჯერსი 1:3 ბოსტონი
0:1 0:0 1:2
0:1 კობასიუ (18), 0:2 მეტროპოლიტი (43), 0:3 კეფელი (58), 1:3 დუბინსკი (60)

ატლანტა 2:4 ედმონტონი
0:0 1:2 1:2
0:1 პენერი (27), 1:1 კოზლოვი (35), 1:2 განიე (36), 1:3 ჯილბერტი (45), 1:4 ნილსონი (54), 2:4 ჰოსა (59)

დალასი 5:2 ანაჰაიმი
1:0 0:0 4:2
1:0 რობიდა (10), 2:0 მორეუ (44), 3:0 ჰაგმანი (48), 3:1 შნაიდერი (49), 4:1 მორეუ (49), 4:2 გეცლაფი (54), 5:2 ჰაგმანი (58)

ნიუ ჯერსი 3:2 ბუფალო
0:0 2:0 1:2
1:0 ზეიჯაკი (38), 2:0 მადენი (40), 3:0 მადენი (44), 3:1 ტაკერი (45), 3:2 კუბინა (49)

ფილადელფია 6:1 ოტავა
2:0 2:1 2:0
1:0 კობერნი (2), 2:0 ჰარტნელი (14), 3:0 აშელი (21), 4:0 ამბერგერი (24), 4:1 კელი (28), 5:1 კაპანენი (44), 6:1 აშელი (58)

კოლორადო 3:1 კოლუმბუსი
1:0 1:0 1:1
1:0 ფინგერი (13), 2:0 ჰაიტი (28), 3:0 არნასონი (44), 3:1 მოდინი (45)

ევროპის ჩემპიონატი. ჩეზენა. იტალია. 17-20 იანვარი

კაცები

ორადგილიანი: 1. ზუბკოვი, ვოევოდა (რუსეთი) 1 წთ 51,97 წმ; 2. ლანგე, კისკე (გერმანია) 1.52,11; 3. ბერტაცო, რომანინი (იტალია) 1.52,18
ოთხადგილიანი: 1. მინინსი, დრეიკინსი, მელბარდისი, დამბისი (ლატვია) 1 წთ 50,06 წმ; 2. გალიკერი, ეგერი, სტრელცოვი, ბროშლიგერი (შვეიცარია) 1.50,23; 3. ლანგე, კისკე, ჰოპე, პიტცე (გერმანია) 1.50,37

ქალები

ორადგილიანი: 1. კირიასისი, ვაკერი (გერმანია) 1 წთ 55,45 წმ; 2. მარტინი, ტიშერი (გერმანია) 1.55,63; 3. ბამერი, დიტრიხი (შვეიცარია) 1.56,09

ჯენი და ლი

გერმანელი ჯენი ვოლფისა და კორეელი კიუ ჰიუკ ლის გამარჯვებით დასრულდა ჰოლანდიურ ჰერენვენში გამართული მოციგურაველთა მსოფლიოს ჩემპიონატი სპრინტერულ მრავალჭიდში.

ვოლფმა პირველობა 500-მეტრიან დისტანციაზე მსოფლიოს ჩემპიონატების რეკორდით (37,60 წამი) გაალამაზა და დაძაბულ ბრძოლაში აჯობა თავის თანამემამულე ანი ფრეზინგერს.

კაცებს რაც შეეხება, ლის მთავარი მეტოქე მსოფლიოს მრავალგზის ჩემპიონი, კანადელი ჯერემი უოტერსპუნი იყო. პირველი დღის შემდეგ, სწორედ უოტერსპუნი ლიდერობდა, მაგრამ მეორე დღეს კორეელმა ორივე დისტანციაზე იმარჯვა და მრავალჭიდის ჯამში კანადელს 0,095 ქულით აჯობა.

კიუ ჰიუკ ლი ჩემპიონატის ორგანიზატორებმა მარხილით გაასეირნეს

მსოფლიოს ჩემპიონატი სპრინტერულ მრავალჭიდში. ჰერენვენი. ჰოლანდია. 19-20 იანვარი

კაცები

პირველი დღე

500 მ: 1. უოტერსპუნი (კანადა) 34,81 წმ; 2. კიუ ჰიუ კლი (კორეა) 34,99; 3. კენგ სეოკ ლი (კორეა) 35,13
1000 მ: 1. ბოსი (ჰოლანდია) 1 წთ 09,13 წმ; 2. კაიპერსი (ჰოლანდია) 1.09,46; 3. უოტერსპუნი 1.09,47

მეორე დღე

500 მ: 1. კიუ ჰიუ კლი 34,85 წმ; 2. უოტერსპუნი 34,95; 3. იუნ მუნი (კორეა) 35,00
1000 მ: 1. კიუ ჰიუ კლი 1.08,82; 2. ბოსი 1.08,94; 3. იუნ მუნი 1.09,20
მრავალჭიდის ჯამი: 1. კიუ ჰიუ კლი 139,170 ქულა; 2. უოტერსპუნი 139,265; 3. იუნ მუნი 140,080

ქალები

პირველი დღე

500 მ: 1. ვოლფი (გერმანია) 37,64 წმ; 2. გერიტსენი (ჰოლანდია) 38,36; 3. სანგ ჰვა ლი (კორეა) 38,46
1000 მ: 1. ფრეზინგერი (გერმანია) 1 წთ 15,58 წმ; 2. ვიუსტი (ჰოლანდია) 1.15,64; 3. ტიმერი (ჰოლანდია) 1.16,75

მეორე დღე

500 მ: 1. ვოლფი 37,60; 2. სანგ ჰვა ლი 38,27; 3. გერიტსენი 38,44
1000 მ: 1. ვიუსტი 1 წთ 15,59 წმ 2. ფრეზინგერი 1.15,82; 3. გერიტსენი 1.15,91
მრავალჭიდის ჯამი: 1. ვოლფი 152,315 ქულა; 2. ფრეზინგერი 153,160; 3. გერიტსენი 153,510

მასტერსის ტურნირი. ლონდონი ინგლისი. 13-20 იანვარი

სელბის პირველი

24 წლის ინგლისელი მარკ სელბი, უკვე რამდენიმე წელია, სნუკერის ელიტაში ტრიალებს, მაგრამ აქამდე დიდ ტურნირებზე სულ რაღაც აკლდებოდა. შარშან ის მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალშიც კი გავიდა, მაგრამ შოტლანდიელ ჯონ ჰიგინსთან დამარცხდა. საერთოდაც, სარეიტინგო შეჯიბრი სელბის ჯერაც არ მოუგია, მაგრამ ალბათ არც ეს დღე არის შორს, მით უმეტეს, ბრწყინვალე სტილში მოგებული არასარეიტინგო, მაგრამ უაღრესად პრესტიჟული ლონდონის „მასტერსის“ შემდეგ.

ფინალისკენ სავალ გზაზე სელბიმ ორი ურთულესი მატჩი ჩაატარა. მეოთხედფინალში 6:5 სძლია წინასწარი რეიტინგის მეორე ნომერს, შოტლანდიელ სტივ მაგუაერს, ხოლო ნახევარფინალში, ასევე თერთმეტფრეიმიან მატჩში ანალოგიური ანგარიშით დაჯაბნა მსოფლიოს ექსჩემპიონი, ირლანდიელი კენ დოჰერტი.

არც მეორე ფინალისტის, ასევე ინგლისელი სტივ ლის საფინალო გზა ყოფილა ია-ვარდით მოფენილი. პირველ წრეში ის 2:5-ს აგებდა მსოფლიოს ექსჩემპიონთან, შოტლანდიელ გრემ დოტთან, მაგრამ სასწაულებრივ შემოატრიალა თამაშის ბედი, 6:5 იმარჯვა და მერე კი გაილაღა — მეოთხედფინალში 6:1 გაანადგურა მსოფლიოს კიდევ ერთი ყოფილი ჩემპიონი, ინგლისელი პიტერ ებდონი და ნახევარფინალში კი 6:3 სძლია ამ სეზონში დიდებულად მოთამაშე ჰონკონგელ მარკო ფუს, რომელმაც მანამდე, აზიურ მეოთხედფინალში, 6:3 დასცა ჩინელი დინ ჯუნხუ.

მიუხედავად იმისა, რომ წინა ეტაპებზე ლი უფრო შთამბეჭდავად გამოიყურებოდა, ფინალში ფავორიტად სელბი ითვლებოდა და პროგნოზები გამართლად კიდეც — ფინალი, საფეხბურთო ენაზე რომ ვთქვათ, ცალკარა გამოვიდა — სელბიმ ოთხი ასქულიანი (124, 132, 125 და 141) ბრეიკი გააკეთა და მეტოქეს 10:3 გადაურა.

არადა, თამაში რომ დაიწყო, ასეთ ანგარიშს ძნელად თუ იფიქრებდა კაცი. ხუთი ფრეიმის შემდეგ, სულაც ლი ლიდერობდა — 3:2, მაგრამ... მერე მხოლოდ ერთი კაცი თამაშობდა და მას მარკ სელბი ერქვა.

სათქმელია, რომ 141-ქულიანი ბრეიკი სელბის კარიერის რეკორდი გახლავთ და ამ შედეგით მარკმა ტურნირზე ყველაზე მაღალქულიანი ბრეიკისთვის დაწესებული პრიზიც გაიყო დოჰერტისთან. თუმცა, ეს რაა — ტურნირის გამარჯვებულისთვის 150 ათასი ფუნტი სტერლინგი იყო დაწესებული და სელბიმ ეს თანხა ალალად და უსაყვედუროდ დაიმსახურა.

მეოთხედფინალი

მარკ სელბი (ინგლისი) 6:5 **სტივ მაგუაერი** (შოტლანდია)
კენ დოჰერტი (ინგლისი) 6:5 **შონ მერფი** (ინგლისი)
სტივ ლი (ინგლისი) 6:1 **პიტერ ებდონი** (ინგლისი)
მარკო ფუ (ჰონკონგი) 6:4 **დინ ჯუნხუ** (ჩინეთი)

ნახევარფინალი

სელბი 6:5 **დოჰერტი**; **ლი** 6:2 **ფუ**

ფინალი

სელბი 10:3 **ლი**

ოლიმპიური თამაშების საკვალიფიკაციო ტურნირი ქალები. ჰალე. გერმანია

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნახევარფინალი

რუსეთი — გერმანია 3:0 (25:15, 25:23, 25:17)
პოლონეთი — სერბეთი 3:1 (22:25, 25:18, 25:22, 25:52)

ფინალი

რუსეთი — პოლონეთი 3:2 (25:23 25:22 11:25 22:25 15:13)

რუსმა ქალებმა პეკინი შეუკვეთეს

რუსმა ფრენბურთელმა ქალებმა პეკინის ოლიმპიურ თამაშებზე მონაწილეობის უფლება მოიპოვეს. გერმანიაში გამართულ საკვალიფიკაციო ტურნირში რვა ევროპული ნაკრები მონაწილეობდა„ ოლიმპიადის საგზური კი მხოლოდ ერთი იყო.

ფავორიტებად რუსები და პოლონელები ითვლებოდნენ და მათ დაუმარცხებლად უწიეს კიდეც ფინალს. გადამწყვეტი მატჩი რუსთა უპირატესობით დაიწყო და ისინი 2:0 დაწინაურდნენ, თუმც პოლონელებმა შეძლეს ანგარიშის გათანაბრება. გადამწყვეტი პარტიის ბოლოს ფორტუნამ რუსების მხარე დაიჭირა და პეკინის საგზურიც მათ ერგოთ.

ამრიგად, უკვე ცნობილია ფრენბურთელ ქალთა ოლიმპიური ტურნირის შვიდი მონაწილე — ჩინეთი, აშშ, ბრაზილია, იტალია, კუბა, ვენესუელა და რუსეთი. კიდევ ხუთი ნაკრების ვინაობა მაისის ბოლომდე გაირკვევა.

ვეიკ ან ზეეს სუპერტურნირი

ვეიკ ან ზეე. ჰოლანდია. 11-27 იანვარი

VIII ტური

ვიშვანათან ანანდი (ინდოეთი)	1:0	ვესელინ ტოპალოვი (ბულგარეთი)
ვლადიმირ კრამნიკი (რუსეთი)	0,5:0,5	იუდიტ პოლგარი (უნგრეთი)
თეიმურ რაჯაბოვი (აზერბაიჯანი)	0,5:0,5	ვასილი ივანჩუკი (უკრაინა)
შაჰრიარ მამედიაროვი (აზერბაიჯანი)	0,5:0,5	ლევონ არონიანი (სომხეთი)
მაგნუს კარლსენი (ნორვეგია)	0,5:0,5	ბორის გელფანდი (ისრაელი)
პაველ ელიანოვი (უკრაინა)	0,5:0,5	მაიკლ ადამსი (ინგლისი)
ლუკ ვან ველი (ჰოლანდია)	0,5:0,5	პეტერ ლეკო (უნგრეთი)

სატურნირო ვითარება

1. კარლსენი	5,5	6-9. ივანჩუკი	4
2-4. კრამნიკი	5	6-9. მამედიაროვი	4
2-4. რაჯაბოვი	5	10-12. ტოპალოვი	3,5
2-4. არონიანი	5	10-12. ლეკო	3,5
5. ანანდი	4,5	10-12. პოლგარი	3,5
6-9. ადამსი	4	13-14. გელფანდი	2,5
6-9. ვან ველი	4	13-14. ილიანოვი	2,5

ესეც სპორტია: გამოვავლინოთ მის და მისტერ სპორტი

თუ ხართ 16 წლის და ზევით, ხართ სპორტსმენი ან ვეტერანი სპორტსმენი, ხართ სპორტული ჟურნალისტი ან სპორტში საქმიანობთ, ხართ სიმპათიური და მომხიბვლელი, გინდათ გახდეთ „მის ან მისტერ სპორტი“, მაშინ დღეიდან მიმართეთ საქართველოს სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა დეპარტამენტს. თან იქონიეთ ორი ფოტოსურათი, შეავსეთ ანკეტა და მიიღეთ მონაწილეობა კონკურსში „მის და მისტერ სპორტი 2008“.

აუცილებელი პირობა: უნდა ცხოვრობდეთ ჯანსაღი ცხოვრების წესით. აუცილებელი არაა, გქონდეთ იდეალური ფიგურა, მაგრამ ღიპიანებმა თავი შეიკავეთ.

ამხელა შესავალი იმიტომ დაგჭირდა, რომ საქართველოს კარატე-დოს ფედერაციის და „პრემიერ ბიზნეს ჯგუფის“ პრეზიდენტ კახა ბასილიას ინიციატივით სპორტის დეპარტამენტმა გადაწყვიტა, ჩაატაროს კონკურსი „მის და მისტერ სპორტი 2008“. ისე, კარგი იქნებოდა კონკურსისთვის „ქალბატონი და ბატონი სპორტი“ დაერქმიათ.

საამამბოდ გუშინ სპორტის დეპარტამენტში პრესკონფერენცია მოეწყო, რომელსაც ეშხი სამოდელო სააგენტო „გრაციას“ პირ-ტანმშვენიერმა მოდელებმა შემატეს. სწორედ „გრაციაში“ მოემზადებიან კონკურსანტები, რომელთა რიცხვი უკვე ასს აღწევს. კონკურსის შესარჩევი ტურები თბილისში „პრემიერ კლუბში“ მოეწყობა, შესარჩევი ტურიდან კი ფინალში 15 ქალი და 15 ვაჟი გავა. გამარჯვებულები 14 თებერვალს ბაკურიანში გამოვლინდებიან, რომლებსაც შეხვდებათ კიდეც ორი მთავარი პრიზი. ჟიურის თავმჯდომარე ია ფარულავა იქნება.

გაჩო სვანიძე

გიორგი ჯანიშვილის ფოტო

სარბიელი
სპორტული გაზეთი

გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან

გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი გიორგი დარჯანია
მთავარი რედაქტორის მოადგილე კახა შალამბერიძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: კობა ინასარიძე, ნუგზარ ლოლაძე, ილია ნანობაშვილი, მიხეილ ჟორჟოლიანი
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ვიაჩესლავ გასპაროვი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიორგი აბულაძე, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ვლადიმერ ხოფერია
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: თამაზ მიგრიაული, ირაკლი პერტაია, გრიგოლ სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლიანა ბესელია, ხათუნა ბუხუნაშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზვიად მოსიაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული. **საფოსტო მისამართი:** თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. **ტელეფონი:** 39 48 29 **ელექტრონული ფოსტა** sarbieli@gol.ge **ელექტრონული ვერსია** http://www.sarbieli.com.ge

სარედაქციო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00